წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 10 გიორგობისთვე 1915 წ. № 139

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტ[illegible] უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

„ხარფუხის საზოგადო კლუბი“
(მიხეილის პროსპექტი № 129—131)

სამშაბათს, 10 გიორგობისთვეს სიმებიანი ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით.
ოთხშაბათს, 11 გიორგობიმთვეს. ქართული წარმოდგენა, ქართულ-დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი. იქნება „ფული და ხარისხი“. კომედია 3 მოქმ. აზიანისა. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.
ხუთშაბათს, 12 გიორგობისთვეს სიმებიანი ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით.
პარასკევს, 13 გიორგობისთვეს. კონცერტი ე. ბროჯის, ორლიანსკისა, კულბიცკაისა, ნემეტტის და სხ. მონაწილეობით: შეასრულებენ: ქართულს, რუსულს და სომხურ რომანსებს. დაწვრილებით აფიშებში.
შაბათს, 14 გიორგობისთვეს სიმებიანი ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით.
კვირას, 15 გიორგობისთვეს. სამუსიკო საღამო. ბ. პრესმანობის ლოტბარობით, ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით: „სოპორნო“.
სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათ. წარმოდგენების და კონცერტების საღამოს 8-ნახევარ საათზე.
სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო
„პეტროგრადში“
კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ
◆ ◆ მზადდება ყოველნაირი ◆ ◆
ევროპიული და აზიური საჭმელები
ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვახშმის შეკვეთა.
25—5 პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
◆ ვერის დაღმართი № 1 ◆
ტელეფონი 17—05

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დაიკარგა პასპორტი,
იოსებ ნიკოლოზის ძის ჩიკვაიძისა, 1918 წლამდის მიცემული. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვთ ამ ადრესით დაგვიბრუნოს: Тифлисъ Гунибская ул. № 37.—ან რედაქციაში მიიტანოს.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს ღოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## კარგი ნიშნები

მსოფლიო ისტორიაში საქართველოს ბედი განსაკუთრებულია. იშვიათად, რომ მას ადგილი დაუთმონ ყურადღებისა, დაკვირვების. მეცხრამეტე საუკუნეშიაც კი, როდესაც მეცნიერებამ ველურთ ხმების კილოკავების შესწავლას მიჰყო ხელი, როდესაც არ დარჩა ადგილი, ჯგუფი, ქვეყნის მტკაველა მიწაც კი, სადაც არ შეეხედნათ და ადგილობრივ ბინადართა თუ უბინადროთა ყოფა-ცხოვრება არ შეესწავლათ, მეცნიერულ სალაროს გასაღრმავებლად, ჩვენი ერი კვლავ ობლად სდგას და ძნელად თუ ვინმემ ხმა ამოიღოს მის შესახებ. საქართველო ობოლია. მას ჯერ არავინ იცნობს და თუ იცნობს, საოცარ სახით. საკურიოზო ამბებს ვაწყდებით ამ მხრივ. სანიმუშოდ მოვიყვან პარიზში სორბონის პროფესორს სენუბიოსს, რომელიც ცნობილია, როგორც ისტორიკოსი. მის თხზულებათა მრავალი ტომი თითქოს ერთგვარ ავტორიტეტობას გვპირდებოდა. მაგრამ თუ რა ღირსების ავტორიტეტი გამოდგა იგი, სჩანს იქიდანაც, რომ გურულთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე რევოლიუციის დროს მან ასეთი მარგალიტები დააბნია ჩვენი ქვეყნის შესახებ: „საქართველო უკეკლუცესი ქვეყანაა... გურია მკვირცხლი, დიადი ბუნების და ერთი თვალსაჩინო **სომეხთა ტომი**...“ გურია და სომეხთა ტომი! ამას ამბობს სენობიოსი, განთქმული პროფესორი! მოდი და გულნაკლულად ნუ გაგეცინებათ! შეცდომებს ვერ ასცდა თვითონ სახელოვანი მეცნიერი ელიზე რეკლიუც, ეს ის რეკლიუ, რომლის გეოგრაფია საკაცობრიო ბიბლიად ითვლება დღესაც. მან ქართველები აზიელ ერთა შორის უმდაბლეს საფეხურამდე ჩამოიყვანა, უკულტურო ერად დაჰსახა, თითქმის ველურადაც კი. მაგრამ როდესაც ჩვენ უცხოელნი არ გვიცნობენ, ეს როდი გვიკვირს. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ რუსებმაც ვერა გაგვიგეს რა. ერთის შეხედვით თითქოს საკმარისი იყო მთელი საუკუნე ერთად ცხოვრება, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა. ერთის შეხედვით თითქოს ისე უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთს პირველს დაწვრილებით უნდა არა თუ გავეცანით, შეესწავლათ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, თვით საკანონმდებლო კოდექსშიაც შეეტანათ ჩვენი განსაკუთრებული ხასიათის შეხედულობანი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მაგრამ რა ბრძანებაა! რუსთათვის საქართველო დღესაც უცნობია, უცნობი რჩება! მათ როდი ეჩოთირებათ, თუ ათას სისულელეს „ზატერიანთა“ ფსევდონიმებით მიაწვდიან ჩვენს შესახებ; როდი ითაკილებენ უვიცობა გამოაქვეყნონ, თუ ვინმე ა. ტოლსტოის სახით უცნაურ ამბებს მიაწვდიან. უცნაურობას როდი გაიკვირვებს ქართველი ერი, რომ სამწუხარო ტენდენციას არა ჰხედავდეს, ტენდენციას ჩვენი შეურაცხყოფისას. მაგალითები უამრავია, მაგრამ თვალსაჩინო თუ გნებავთ, მოგახსენებთ იმავე გრაფ ა. ტოლსტოის მიერ აკაკი წერეთლის დაკრძალვის გამასხარავებას, თუ არ ვცდები, „რუსკ. ვედ.“-ს ფურცლებზე. მაგრამ ეს რაა! თვით პოლიტიკოსებსაც კი არ ვახსოვართ. ხშირად მათ ჩვენი არსებობაც კი ავიწყდებათ რუსეთის იმპერიაში. უეჭველია, გეხსომებათ, მაგალითად, თუ ბ-ნმა ნეიდგარტმა როგორ უგულებელჰყო საქართველო, ქართველი ერი, თვის ცნობილ მოწოდებაში, განაპირა ქვეყნების სასარგებლოდ ფულს რო ჰკრებდნენ. აი, ყველა ამას რომ ჰხედავთ, უნებურად გული გიტყდებათ. შენი მფარველისაც არა გჯერა რა, მისი მოძმეობა ზერელეა, ყალბი. თვით ბუნება დიადი მწერალნიც კი, ვთქვათ, რომელნიც ჩვენს დროში სცხოვრობენ, როგორც გორკი და კუპრინია, ქართველებს ახასიათებენ იმ უცნაური სათვალის შუქით, როგორც ძველად ესმოდათ, ძველად წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ულრან ტყეებისა და ველურ მწვერვალთა ველური შვილი.

გორკიმ ერთხელ აიღო ქართველის ტიპი და ისიც ქურდათ დასახა, „გაუტანელ, ფლიდ და ცუღლუტ ადამიანად. კუპრინი ხომ ცინიზმამდე მიდის ჩვენს დახასიათებაში. სავალალოა ეს მოვლენა, სავალალო, რომ რუსეთის ნაღები, რუსეთის აზროვნების საუკეთესო ბაირახტარნიც-კი ასე ყალბ შეხედულობას ავითარებენ ჩვენს შესახებ...

ცოტა ამ ბოლო დროს შეეტყო ფრონტის შეცვლა. უეჭველია, გეხსომებათ, თუ ამას წინად ბალმონტს როგორ აღტაცებით შეეგება ჩვენი ერი. მიზეზი ვიცით. აღარ მოვყვებით მოგონებას. დღეს მეორე მერცხალი მოგვევლინა ბ-ნ ვ. ა. გურკოს სახით. თუ გნებავთ, ეს პირველი ცდა გახლავთ, რომ ქართველი იმად ასწეროს, რასაც მთელს სიგრძე-სიგანით წარმოადგენს იგი. არც გადაჭარბებული ქება, არც გადაჭარბებული დამცირება. გურკოს ლექცია „ქალის კულტი საქართველოში“, მართალია, მეცნიერულად ვერ იყო ღრმად შესწავლული, მაგრამ მარტო ცდილობაც, რომ ასე ობიექტიურად შეესწავლა აღებული საგანი, მის ლექციის ღირებულებას აორკეცებდა. ჩვენ გვწამს, რომ ბ-ნი გურკო წერტილს აქ არ დასვამს. იგი რუს საზოგადოებას წარუდგება თამამი მხილებით და უფრო მეტი საბუთებით. მისი ახალგაზრდობა, დაკვირვების ნიჭი, რაიცა მასალის შეგროვებაში დავინახეთ, ერთგვარი სითამამე და რუს მწერალთათვის არაჩვეულებრივი მიუდგომლობა იმედს გვაძლევს, რომ იგი რამოდენიმედ აზრს შეაცვლევინებს ჩვენს შესახებ მათ, ვინც ცხრა მთას იქიდან მოსეირედ გადმომდგარა. პატივი და ჰაღარა ჩვენი ისტორიისა მოითხოვს მეტს პატივისცემას და ყურადღებას ჩრდილოელთაგან.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

7 გიორგობისთვე. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში ადგილ-ადგილ ძლიერი ზარბაზნის სროლა იყო. დვინსკის დასავლეთით გერმანელები იძულებული გახდნენ პონევეჟის რკინის გზის მიდამოებში უკან დაეხიათ. ჩვენ ხელში დარჩენილ სანგრებში დაგვხვდა ზარბაზნები, ყუმბარები და დაუმარხავი მკვდრები, გერმანელებისა. რიგის ყურედან მდ. პრიპიატამდე ცვლილება არ მომხდარა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას მოპირდაპირემ ჯერ შეინარჩუნა დაპყრობილი ადგილები და 6 გიორგობისთვეს, ქალაქი ჩარტორიისკი და სოფელი კოზვინჩი (მდ. სტირის მარცხენა ნაპირასაა, ჩარტორიისკის ქვემოდ) რუსებმა დაიბრუნეს.

კავკასიის ასპარეზი. შავი ზღვიდან მოკიდებული ვანის ტბის ჩრდილო ნაპირებამდე მოწინავე რაზმების შეტაკება და თოფის სროლა სწარმოებდა. რუსების მფრინავებმა სოფ. ვეპრიკეს და ხოროსანის მიდამოებში დაბანაკებრლ ოსმალეთის ჯარს ყუმბარები დაუშინეს. ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ნაპირას რუსებს ქურთების ბრბოებთან შეტაკება მოუხდათ.

პეტროგრადი, 8 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ფრონტი. ზღვისა და ტორტუმის ტბის რაიონებში სროლაა. მოწინავე რაზმთა შეტაკება გახშირდა. ვანის ტბის ჩრდილო ნაპირზე, ქალაქ აჯიშთან და ურმიის ტბის სამხრეთ ნაპირზე ქურთთა ბრბოსთან განაგრძობენ შეტაკებას.

---

### გერმანელების სამხედრო გემები.

**სტოკჰოლმი.** 6 გიორგობისთვე. გაზეთების ცნობით, ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამის ნახევარზე, ზუნდის ვიწრო ადგილას, ჰენსინბორგსა და ჰელსინგერის შუა, გაიარა 17 დიდმა სამხედრო გემმა. ეს გემები ოთხ დივიზიად არის გაყოფილი, მათ შორის რამდენიმე ახალი ჯურის ნაღმოსნები იყო. ყველა გემები შავად არის შეღებილი. შვეციის ნაღმიანი კრეისერი რამდენიმე ას მეტრის მანძილზე უკან მისდევდა. გალმედანაც გამოვიდა შვეციის რამდენიმე ნაღმოსანი, რათა ეთვალთვალებინათ, თუ ესკადრა როგორ გაივლიდა გალმეს გვერდით. ამბობენ, მარტრანდის მახლობლად ინგლისის რამდენიმე სამხედრო გემიც შეუმჩნევიათ.

### მიმოსვლის მოწესრიგება.

**ჟიტომირი.** 6 გიორგობისთვე. როვნო-სარნის რკინის გზაზე მიმოსვლა მოწესრიგდა.

### ბალკანეთის ასპარეზი.

**პარიზი.** სტრუმიცას მიდამოებს გარდა მთელი ბრძოლის პირზე სრული სიწყნარეა. სტრუმიცასთან კი ბულგარელები იერიშით მივიდნენ მოკავშირეებზე, მაგრამ საგრძნობი ზარალით უკუაქციეს.

### ბელგიის ასპარეზი.

**ჰავრი,** 6 გიორგობისთვე. ბელგიის ცნობა. პერვიზეს მიდამოებში მტერი მოწინავე სადარაჯოებს ზარბაზანს უშენდა. ბელგიელები იმითვე უპასუხებდნენ და მოპირდაპირის მუშები გაჰფანტეს. ბელგიელმა მფრინავებმა ესსენთან დაბანაკებული გერმანელებს ყუმბარები დაუშინეს.

### საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიზი,** 7 გიორგობისთვე. დღის ოფიციალი ცნობა. ღამის განმავლობაში მხოლოდ ზარბაზნების სროლა და ხელის ყუმბარებით ბრძოლა იყო არტუაში, ლაბირინტის სანგრებთან, არგონებში კურტშოსესთან და ვოკუასთან, ლოტარინგიაში რეიონის მახლობლად.

### რუმინეთში.

**ბუქარესტი,** 6 გიორგობისთვე. „ინდეპან-დან-რუმენ“-ის ოფიც. ცნობა: სოფიაში დატუსაღებულ უცხოელთა შორის რამდენიმე რუმინელი ქვეშევრდომიც მოჰყვა. რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო გულმოდგინედ ჩაერია საქმეში და მათი განთავისუფლება მოითხოვა, რადგანაც მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი დაუსაბუთებლად მიაჩნია.

### იტალიის ასპარეზი.

**კოპენჰაგენი.** 6 გიორგობისთვე ავსტრიის მთავარი ბანაკის ცნობით, იზონცოს ბრძოლის პირზე იტალიელებმა გაძლიერებულის სიმედგრით განაახლეს დაუცხრომელი ხელის ყუმბარების სროლა. ქვეითა ჯარი განუწყვეტლივ იერიშით მიდის ავსტრიელებზე.

**რომი.** 6 გიორგობისთვე. მთავარ ბანაკის ცნობა. მთელს ბრძოლის პირზე ზარბაზნებით ბრძოლაა. ასტიკოს მიდამოებში მტერი გავფანტეთ, კორდევოლეს ზემო ნაწილში მიტაგსკოფელზე საფარი დაანგრია, მორიცას ყაზარმებს აზრბაზნები დაუშინა და გოჟოდას აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეებზე სიმაგრეებს დაუშინეთ. ვესროდით აგრეთვე გორიცადან სწრაფად მიმავალ მტრის ჯარს. კარსოზე ჩვენმა ქვეითა ჯარმა გუშინ იერიშები განაახლა, რომელიც უკვე მოხერხებულად სანმიკელეს მიდამოებში მოქმედებდა. აქ ავიღეთ პეტეანოსა და ბოსკინის შუა მდებარე ფერდოები, რომელიც იზონცოსაკენ ექანება. მტერმა მედგარი იერიშით დაიბრუნა ეს ადგილი, მაგრამ ჩვენ ხელმეორეთ ავიღეთ. მოპირდაპირეს მთელი ღამე გააფთრებული იერიშები მოჰქონდა, შვიდჯერ მოუახლოვდა ჩვენს ხაზს, მაგრამ შვიდჯერვე დაზარალებული, უწესრიგოდ უკან გაბრუნდა. ხელთ ვიგდეთ 175 ტყვე და დიდძალი საომარი მასალა.

მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ვერონაში, სადაც 4 დაიჭრა, ვიჩენცაში და გრადოში, სადაც ვნება არ მიუყენებია. მეორე ჰაერის რაზმმა 15 ყუმბარა ჩააგდო უდინეში, სადაც 12 მოკვდა, 16 მცხოვრები და 8 ჯარისკაცი დაიჭრა, და სახლებიც დააზიანა.

### სპარსეთში

**თეირანი.** 6 გიორგობისთვე. შაჰის მთავრობამ დეპეშები დაგზავნა ყველა პროვინციის მცხოვრებთა და სასულიერო წოდების საყურადღებოდ, შაჰი თეირანში დარჩება, რადგანაც რუსეთთან გულწრფელი მეგობრული განწყობილება დამყარდაო. სპარსეთის ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ცნობას. შაჰმაც მოწოდება გამოსცა, დღეის შემდეგ ვეცდები რუსეთ-სპარსეთის მეგობრული კავშირი უფრო განმტკიცდესო.

გერმანეთის ელჩი, რომელიც შაჰის წასვლას მოელოდა, ისპაჰანისკენ გაემართა. ამბობენ, ოსმალეთის დესპანი თეირანიდან 25 ვერსის მანძილზეა დაბინავებული და ემისარების საშუალებით სცდილობს შაჰის გადაბირებასაც.

### სერბეთში.

**კოპენჰაგენი,** 7 გიორგობისთვე. ვენიდან ოფიციალი ცნობაა: გორიცას 6 გიორგობისთვეს შვიდი საათის განმავლობაში ზარბაზნებს უშენდნენ. ქალაქში დაეცა 3000 ყუმბარა სხვა და სხვა ყალიბისა, ბევრგან ცეცხლი გაჩნდა.

### საბერძნეთში.

**კოპენჰაგენი,** 7 გიორგობისთვე. „პოლიტიკენ“-ი ათინიდან იტყობინება: ვენიზელოსის ბევრი მომხრე დაატუსაღეს კრიტის კუნძულზე. მათ სახელმწიფოს ღალატს აბრალებენ.

### ფრისლანდია.

**ჰააგა,** ფრისლიანდიის კუნძულების დასავლეთ სანაპიროებსა და გასწვრივ მდებარე ადგილებში სამხედრო წესები შემოიღეს.

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** 7 გიორგობისთვე. მეფემ სადარბაზოდ მიიღო ჯერ ავსტრო-უნგრეთის, შემდეგ გერმანეთის დელეგატები, რომლებიც წითელ ჯვრის კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოსულან. გერმანელი დელეგატი ხუთია.

### ბულგარეთი.

**ბუქარესტი,** 7 გიორგობისთვე. „ეკოდე ბულგარი“ სწერს: რადგანაც ვარნას ზარბაზნები დაუშინეს, მთავრობამ იფიქრა შეიძლება რუშჩუკის წინააღმდეგ რუსეთის კონონერებმა და მფრინავებმა დუნაის ჯარის პირზე სამტრო მოქმედება დაიწყონო, ამის გამო რუმინეთის მთავრობას შეუთვალა, ზომები მიიღე ამის წინააღმდეგ, თორემ სამწუხარო ნაყოფს გამოიღებსო. მართლაც, რუშჩუკსა და ჟურჟევის შუა მდ. დუნაის სიგანე ბულგარელებს საშუალებას მისცემს ერთი ნაპირიდან მეორეზე ზარბაზნის ყუმბარები მიაწვდინოს.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

**ლონდონი,** 8 გიორგობისთვე. ალექსანდრიიდან იტყობინებიან: ეგვიპტეში დამზღვევი საზოგადოებანი ბერძნების გემებს არ იზღვევენ, ბანკები ბერძნებს კონოსამენტებს არ აძლევენ, ეგვიპტის საფოსტო დაწესებულებები საბერძნეთში გასაგზავნად ფულს არ ღებულობენ.

### დარდანელი.

**ლონდონი,** 7 გიორგობისთვე. რეიტერის სააგენტო უარჰყოფს გერმანელთა გაზეთებში მოთავსებულ ცნობას, ვითომც ინგლისს-რუსეთისათვის შემოეთვალოს, დარდანელში მოქმედების შეჩერება მსურსო.

**პეტროგრადი,** 8 გიორგობისთვე. პეტროგრადში მყოფი ინგლისის დესპანი უარჰყოფს გერმანულ გაზეთების ცნობას ვითომც ინგლისის მთავრობას რუსეთისათვის ეცნობებინოს, დარდანელს თავს ვანებებო.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

**ათინა,** 6 გიორგ. გაზ. „ატენაი“ სწერს: „თუ სტრატეგიული საჭიროება გერმანელებს იძულებულ ჰყოფს, დაპირების წინააღმდეგ, მონასტირში შესვლას მაშინ მას დაიჭერს არა გერმანელი და არა ბულგარელი ჯარი“.

„ესტია“, „ნეა-ელლას“-ში და „პატრის“—წინააღმდეგ ამტკიცებენ: ევროპის ცენტრალ სახელმწიფოებს ბულგარეთ-საბერძნეთთან მხოლოდ დოირანისა და გევგელის თაობაზე აქვთ მოლაპარაკებაო.

**პარიზი,** 8 გიორგ. ბულგარეთ-საბერძნეთის შორის შეთანხმება მოხდა 16 ღვინობისთვეს, ბულგარეთში საბერძნეთის მიერ პურის შეძენისა და მისი გამოზიდვის წესრიგზე. ამის გარეითად არავითარი შეთანხმება არ მომხდარაო, აცხადებენ ოფიციალად.

**ცეტინიე,** 8 გიორგობისთვე. ოფიციალი. მთაშავეთში 6 გიორგობისთვეს მთელ ფრონტის გასწვრივ მტერმა ფიცხელი იერიშებით შეუტია.

მთაშაველთა ჯარებმა უკანა პოზიციებზე დაიხიეს და იქ გამაგრდნენ.

**კოპენჰაგენი**, 8 გიორგობისთვე. გაზეთები იუწყებიან, რომ ტენდერის მახლობლად „ცეპელინების“ ანგარი აფეთქდა. ერთი ცეპელინი № 18 დაილუპაო.

**სტოკჰოლმი**, 8 გიორგობისთვე. რუსეთის წითელ ჯვრის წარმომადგენელნი ბუტურლინი, არნოლდი, გრაფი არგჰელდი და გრინვალდი, რომელნიც გერმანელების მიერ დატყვევებულ იქმნენ, დღეს გაანთავისუფლეს და ბერლინიდან უკვე გამოვიდნენ კიდეც.

**პარიზი**, 7 გიორგ. ზოგიერთ ადგილას ჩვენმა არტილერიამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, განსაკუთრებით ბელგეთში, ბეზენგის რაიონში, სადაც მოვსპეთ მტრის პატარ-პატარა პოსტები. საზოგადოდ მთელის ფრონტის გასწვრივ საარტილერიო სროლა იყო.

**ცეტინიე**, 7 გიორგ. მტერი მთელს ფრონტის გასწვრივ უნაყოფოდ გვიშენდა არტილერიიდან. ავდარი ქვეითა ჯარს მოქმედებას უშლიდა.

**ჰავრი**, 7 გიორგობისთვე. ღამემ მშვიდად ჩაიარა. დღისით მტერმა ძალუმი მოქმედება გამოიჩინა. არტილერია არ სცხრებოდა. ჰაეროპლანებიც არ ისვენებენ. ჩვენი არტილერია მარჯვედ უპასუხებდა მტრის ზარბაზნებს. რამდენიმე ადგილას გაჰფანტეს მათი მუშები.

**რომი**, 8 გიორგობისთვე. კორდევალეს ღელეში მტერი მოემზადა და ისე წამოვიდა იერიშით, მაგრამ ჩვენც მარჯვედ დავუხდით და კონტრიერიშით უკუვაქციეთ დიდის ზარალით. ვარნიაში მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. მდ. იზონცოს გასწვრივ საშინელი ბრძოლაა. ზაგორის სექტორში ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს მტრის ერთი სიმაგრე და ტყვედ წამოიყვანეს 37 ჯარისკაცი. მტერმა კონტრიერიში დაიწყო სან-მიქელოს ფერდობებზე, მაგრამ მაინც ვერას გახდა. 75 კაცი კიდევ ჩაგვივარდა ტყვედ. მათი მფრინავები თავს გვესხმიან, ერთიც ჩამოვაგდეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუმინეთში.

„დენ“-ის თანამშრომელი ა. ბ. რატნერი ბუქარესტიდან იწერება: მოკავშირეთა დიპლომატიას ფიანდაზად ეფინებიან ფილიპესკი, იონესკუ და მათი ფართო წრე, მყვირალა აგიტაციით ქვეყანას აყრუებენ, დიპლომატიის ყოველ ნაბიჯს საქვეყნოდ გაჰყვირიან და ირწმუნებიან, რომ დღეს თუ ხვალ, რუმინეთი, რა თქმა უნდა, მოკავშირეებს მიემხრობაო. ამავე დროს, სადღაც ჯურღმულებში, უჩინარად მაგრამ გულმოდგინედ მუშაობს გერმანელ-ავსტრიელთა გაბმული ქსელი.

შეგვხვდებათ გულწრფელი მომხრე ნეიტრალიტეტისა ვინმე სოც.-დემოკრატი და გარწმუნებთ: რუმინიის ომში ჩათრევას მხოლოდ მოკავშირეები სცდილობენო. — გერმანელები? —ოო, გერმანეთი ხომ უკეთილშობილესი ქვეყანაა, ის მხოლოდ სცდილობს, რუმინეთმა ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოს.

ბოლოს ვინმე კარპს, ან სტერეს წამოსცდება, რომ გერმანელებიც მოელიან რუმინელთა აქტიურ გამოსვლას.

უტყუარ წყაროებიდან გადმომცეს, რომ გერმანეთს გადაწყვეტილი აქვს, სერბეთი, რომლის დაპყრობაში მცირე ეჭვიც არ ეპარება, გაუნაწილოს ბულგარეთს, საბერძნეთს, ავსტრიას და რუმინეთს.

---

რუმინეთის პრემიერ ბრატიანუმ კაბინეთის განახლება გადასწყვიტა. ამ მიზნით მან მოლაპარაკება გამართა სხვა და სხვა პარტიის ლიდერებთან.

### უნივერსიტეტის რექტორი.

ბუქარესტის უნივერსიტეტის რექტორის არჩევამ წმიდა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. იბრძოდენ გერმანეთის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. რექტორის არჩევაში გერმანეთის მოწინააღმდეგეთა კანდიდატი გავ და.

### სერბეთს უკვე ინაწილებენ.

რადოსლავოვს უთქვამს: სამხრეთ სერბეთს მიიღებს ავსტრეთი ქ. ბელგრადით, აღმოსავლეთს მაკედონიით ბულგარეთი. დანარჩენ ნაწილის შეერთება მოსალოდნელია მთაშაველთა მიწაწყალთანო.

---

ბულგარეთმა საბერძნეთის საზღვრებიდან თავისი უმთავრესი ძალები გაიწვია.

---

პრიპელთან ომის დროს მონაწილეობას იღებდა, როგორც ოსმალთა ცხენოსანი ჯარი ისე ქურთების პოლკიც.

### გენერალი მაკენზენი.

ცნობილ სარდალს მაკენზენს მიანდვეს აღმოსავლეთის საზღვრებზე და ოსმალეთის აზიაში ბრძოლის ხელმძღვანელობა.

### გერმანელთა დანაკლისი.

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში გერმანეთის ლაშქრის დანაკლისი სამას ათას კაცს უდრის.

### ხმები.

გერმანეთი მზათაა ჩამოაგდოს რუსეთთან სეპარატიული ზავი შემდეგის პირობით: გერმანეთი უბრუნებს რუსეთს ყველა დაპყრობილ ადგილს გარდა პოლონეთისა, რომელიც დამოუკიდებელი სამეფო უნდა გახდეს. ამასთანავე ოსმალეთთან ზავით რუსეთი მიიღებს სტამბოლს, მხოლოდ ოსმალეთი კი ეგვიპტეს. პირობაში ნათქვამი, რომ რუსეთმა კავშირული დამოკიდებულება უნდა შესწყვიტოს ინგლის-საფრანგეთთან. და სხვასთანაო.

„Evening Maili“

---

რომში ამ ჟამად მსჯელობაა იმის შესახებ, თუ საითკენ გაიგზავნოს სადესანტო ლაშქარი. ჯერჯერობით დესანტის მოხდენას ეპირებიან სალონიკსა და ალბანეთში.

---

გერმანეთში ყოველდღე მოდის ბალკანეთის ნახევარ კუნძულიდან სანოვაგე. დაცლილ მატარებელს უკან გამობრუნებისას ბულგარ-ოსმალთა საჭიროებისთვის იარაღს ატანენ.

### საფრანგეთი.

### საბერძნეთისა არ სწამთ-რა.

შეთანხმების სახელმწიფოთა და საბერძნეთის მოლაპარაკება ერთნაირ იმედს იძლევა რომ საფრანგეთ-ინგლისის ჯარს საბერძნეთი ხაფანგს არ დაუგებს. საბერძნეთის სიტყვიერი რწმუნება საფრანგეთს არ სჯერა. მთელი პრესა უნდობლობას გამოსთქვამს

---

„Matin“ სწერს: სამწუხაროა. მაგრამ აშკარაა რომ გერმანეთის გავლენა საბერძნეთში დღითი-დღე იზრდება. ვილჰელმის კაცები თანდათან უფრო გაბედულად მოქმედებენ. გერმანეთის სახელმწიფო მოღვაწენი საგანგებოდ უმეგობრდებიან საბერძნეთის გენერალური შტაბის უფრო გავლენიან პირებს და მათი შემწეობით ცდილობენ გააბათილონ შეთანხმების სახელმწიფოთა ყოველი ნაბიჯი. რადგან საბერძნეთის მეფე გერმანეთის იმპერატორის თვალით უყურებს ფაქტებს და მის მოქმედებას საფრანგეთის მტრები მართვენ, განა შესაძლებელია გულდამშვიდებით გწამდეს, რომ საფრანგეთის ჯარს ხიფათი არ მოელის საბერძნეთისაგან და რომ მას საიმედო ბაზა ჰქონდესო.

თავი გავაბრიყვებინეთ ბულგარეთის მეფეს ფერდინანდის პირმოთნეობას. მწარე გამოცდილებამ ჭკუა გვასწავლა და ჩვენც ისე მოვიქცევით, როგორც ამას გვიკარნახებს პირველი გაკვეთილის სიბრძნეო.

### გერმანელთა ყალბი ფული

რიგაში მაღალ მთავრობამ ბრძანება გასცა ადგილობრივ პოლიციას, თვალყური ადევნოს გერმანელთა აგენტებს, რომელნიც დადიან და ჰყიდულობენ ოქრო-ვერცხლის ფულს. გამოჩნდა, რომ გერმანელები ოქროს ფულს ყიდულობენ და აძლევენ ქაღალდის ფულს ხუთ მანეთში რვა მანეთს ქაღალდისას.

### კავკასია

### მოქმედების გაძლიერება.

ურმიის ტბის აღმოსავლეთის სანაპიროზე ქურთებმა განაცხოველეს მოქმედება. ამავე ტბის სამხრეთით და დასავლეთის ოსმალებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი.

### მდგომარეობა.

ოსმალები ეხლა არ ზოგვენ თოფწამალსა და ტყვია-ყუმბარებს, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ბალკანეთზე გერმანელებისა და ოსმალების შეერთების შემდეგ, საომარი მასალა თავზე საყრელი ექნებათ.

— სპარსეთში მდგომარეობა თანდათან რთულდება, გერმანელი და ოსმალო აგიტატორები ხალხში მხნედ მოქმედობენ.

### პოლონეთში

### მაღალი სასწავლებელი.

დაპყრობილ ვარშავაში გერმანეთის მთავრობამ გახსნა უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი. ამ მაღალ სასწავლებელთა პროფესორების კრებული წარუდგნენ ვარშავის გენერალ გუბერნატორს ბეზელერს, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვა მათ ახლად გახსნილ სასწავლებლებში. რექტორებად და დეკანებად სულ პოლონელებია დანიშნული. 16 გიორგობისთვეს ვარშავაში გაიხსნება კაზმულ ხელოვნებათა უმაღლესი სკოლა.

### ინგლისი

საბერძნეთის ორმაგი პოლიტიკა დიდ ეჭვებს ბადებს ინგლისში, რომლის პრესა ერთხმად მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას საბერძნეთის წინააღმდეგ.

— „Daily Telegraph“-ი სწერს: შეთანხმების სახელმწიფოებმა ენერგიული ღონისძიება უნდა იხმარონ საბერძნეთის წინააღმდეგ, უკეთუ მან ნეიტრალობის ოდნავი დარღვევა ჩაიდინაო.

— „Times“-ი სწერს: ემეფის ნაბიჯები, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევისაკენ არის გადადგმული, მარტო შინაური პოლიტიკის აქტი არ რის, არამედ საგარეო პოლიტიკის საკითხიც.

## უკანასკნელი ფოსტა

### სერბეთში.

ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, ბულგარელებმა ბაბუნს სამხრეთით შემოუარეს. ვარნა დაცლილია. მის მეციხოვნე ჯარს გერმანელი უფროსობს.

სერბთა მდგომარეობა განსაცდელშია: მონასტირზე მიდის ბულგარელთა სამი არმია და, შესაძლებელია, სერბთა ნაწილი მოსწყვიტოს კიდეც.

სამხედრო გემები სალონიკის მახლობლად მიმოდიან.

### კონფერენცია.

სტოკჰოლმიდან მოსულ დეპეშის ცნობით, რუსეთ-ავსტრია-გერმანეთის წითელ ჯვრის კონფერენცია 9 გიორგობისთვეს დაიწყება, დაგერჰეიმის ხელმძღვანელობით. კოპენჰაგენიდან მიღებულ ცნობით, ამ კონფერენციას დაესწრება ბადენის პრინცი, რომლის მინდობილობაც გერმანეთის ზავის სურვილს უკავშირდება.

### ჰოლც-ფაშა და მაკენზენი.

ჰლც-ფაშა სერბეთის ფრონტზე მისულა და მაკენზენი უნახავს.

### რუმინეთში.

რუმინეთის რკინის გზებზე ჯართა სწრაფი მიმოსვლა სწარმოებს, რის გამოც საბარგო მატარებლები ვეღარ აუშაობს.

### საბერძნეთში.

7 გიორგობისთვეს ათინაში მოკავშირეთა ელჩების კრება მოხდება, სადაც უნდა გამოარკვიონ, თუ რა გზას დაადგეს საბერძნეთი.

### საბერძნეთ-რუმინეთი.

როგორც ამბობენ ბულგარეთს თავის ჯარი საბერძნეთის საზღვრიდან გამოუყვანია და მხოლოდ მცირე მცველნი დაუტოვებია.

### ვანის ტბაზე.

ვანის ტბაზე რუსეთის სამხედრო გემების გამოჩენა ოსმალებისათვის მოულოდნელი ამბავი იყო. აქ ოსმალები გამაგრებულან ტბის სამხრეთით სანაპიროების სიმაღლეებზე.

### ბულგარეთ-საბერძნეთი.

ბულგარელები სამის მხრიდან აწვებიან სერბთა ჯარს და საბერძნეთის საზღვრებისაკენ ახევინებენ. საბერძნეთ-სერბეთის შეთანხმებით ასეთს შემთხვევაში საბერძნეთი სერბეთს უნდა გამოესარჩლოს. (რეჩი)

### გერმანელების გეგმა.

„რეჩ“-ის აზრით, გერმანელები რუსეთის ასპარეზზე გადამწყვეტ მოქმედებას გაზაფხულზე განაახლებენ. ეხლა კი გახურებული მუშაობა აქვთ ბრძოლის პირის ზურგით მდებარე ხაზის გასამაგრებლად. იქ აგებენ ჯავშან გადაკრულ თბილ სანგრებს, აკეთებენ დანგრეულ რკინის გზებს და ახალ ლიანდაგებს აგებენ. ვარშავაში ვისლაზე დანგრეული ხიდი აღადგინეს.

### რუსები სპარსეთში.

რუსეთის ჯარი კერეჯამდე მივიდა, თეირანამდე 35 ვერსი დარჩათ.

### ვილჰელმი სტამბოლში.

სტამბოლში სამი კვირის შემდეგ ელიან ვილჰელმის მისვლას.

### საბერძნეთში.

საბერძნეთის ჯარი ანგისტაში იყრის თავს.

### სერბეთში.

პრილეპის მიდამოებში სერბთა შვიდი ბატალიონი მოზღვავებულ მტერს ებრძვის.

## დეპეშა

### პეტროგრადი

ჩვენი კორესპოდენტი დეპეშით დამატებითი ცნობას გვაწვდის:

თ-დმა ჩოლოყაშვილმა და მაჩაბელმა თ-დ ვოლკონსკის განუმარტეს რომ ყოველისფერი. რასაც ერობის შესახებ მოახსენებენ მას, უკვე პირადად მოახსენეს მეფის ნაცვალს თბილისში.

ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა სინოდის ობერპროკურორს ვოლჟინს მოახსენეს, რომ ქართულ ეკლესიის საქმეთა გამო დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენენ.

**ჯაფარიძე.**

## ბრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირზე ამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში დეპეშის ცნობით, არაფერი მომხდარა ღირსშესანიშნავი, გარდა იმისა, რომ რიგის რაიონში ალაგ-ალაგ საარტილერიო სროლა დაუწყიათ. 8 გიორგობისთვის დეპეშის ცნობით დვინსკის დასავლეთით გერმანელები სულ ცოტაზე უკუ მიმდგარან პონევეჟის რკინის გზის რაიონში. ამ ადგილებთან დაწყებული მდინარე პრიპეტამდე მდგომარეობა არ შეცვლილა. მდ. სტირზე ჩარტოროკის რაიონში რუსებს უკან დაუბრუნებიათ ქალაქი ჩარტორისკი და სოფელი კოზვინიჩი.

9 გიორგობისთვის დეპეშა არავითარ ცვლილებას არ აღნიშნავს რუსეთ-გერმანეთს ბრძოლის პირზე.

კავკასიის ფრონტზე მოქმედება უფრო გაცხოველებულა. შავი ზღვიდან ვანის ტბის ჩრდილო ნაპირამდე მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსდით. კეპრიკეისა და ხოროსანის რაიონში რუსებს ჰაეროპლანებიდან ყუმბარები ჩამოუყრიათ, ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ნაპირზე რუსებსა და ქურთებს ხშირი შეტაკება მოსდით.

**მეგრი.**

## ახალი ამბავი

◆ **სამკურნალო კომისია.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან დაარსდა სამკურნალო კომისია. 8 გიორგობისთვეს შეიკრიბა 16 ქართველი ექიმი. კრებამ მსჯელობა იქონია სამაჰმადიანო საქართველოში სამკურნალო დახმარების შესახებ და დაადგინა: 1) ქედას გაიხსნას ლაზარეთი და ამ საქმეს მოხმარდეს ნაწილი იმ ფულისა, რომელიც საქველმოქმედო საზოგადოებას შესწირა ტატიანას სახელობის კომიტეტმა; 2) ლაზარეთები გაიხსნას აგრეთვე ხულოს, არდანუჯს, სათლელსა და ბათომში, რომლებშიაც საერთოდ მოთავსებული უნდა იყოს 300 საწოლი; ამ საერთო რიცხვიდან ბათომის ლაზარეთში უნდა დაიდგას ასი საწოლი და იქვე უნდა მოეწყოს სადოსტაქრო განყოფილება; 3) ეთხოვოს ქალაქთა კავშირის კომიტეტს, რომ აღნიშნულ 4 ლაზარეთის მოსაწყობად და შესანახად გაიღოს საკმაო თანხა. შემდეგ კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს, საერთოდ სამკურნალო საქმის მოწესრიგება. კომისიაში წევრებად შედიან: ექიმ-ნი ი. ელიაშვილი, ბ-ნი მუხაძე, პ. კიკალიშვილი, ბ-ნი ლორთქიფანიძე, შ. მიქელაძე და პროვიზორი ბ-ნი ახვლედიანი. კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ი. ელიაშვილი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად ბ-ნი მუხაძე.

◆ **ჰოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო.** განსვენებულ ჰოლა ლომთათიძეს სარატოვიდან მოასვენებენ თბილისს და აქვე დაკრძალავენ. არჩეულია საგანგებო დამკრძალა-

---

## ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულობიდან.

(გაგრძელება)

ვახტანგმა კიდევ უარი შეუთვალა შაჰს დახმარებაზედ. ისტორიკოსი ავალიშვილი*) აუცილებელ შეცდომათა სთვლის ასეთს ნაბიჯს ვახტანგისას, მით უმეტეს, რომ მაშინ პეტრე დიდი უკვე დაბრუნებული იყო რუსეთიდგანაო. მაგრამ განა შეეძლო მაშინ ვახტანგს იმ სიშორეზედ ისპაჰანში ჯარების გაგზავნა და მით გაუკაცურებულ საქართველოს განსაცდელში ჩაგდება. ეჭვი არ არის პეტრე დიდის უკან გაბრუნების შემდეგ ძალზედ ასისინდებოდნენ საქართველოს დაუძინებელნი მტერნი, დაღესტნის ლეკნი და სხვანი და თუ საქართველო ჯარებს შორეულს ისპაჰანში გაჰგზავნიდა, ხეირს არ დააყრიდნენ მას. გარდა ამისა პეტრე დიდისაგან გამოგზავნილი კარის ელჩი ტოლსტოი დაჟინებით გაიძახოდა, რომ გაზაფხულზედ პეტრე დიდი უფრო დიდის ჯარებით და მრავალის თოფ-ზარბაზნით გამოილაშქრებს ხელახლავ კავკასიისკენაო და განა ვახტანგს ამისთანა გარემოებაში შეეძლო შორს სადმე ჯარების გაგზავნა? ვახტანგს რომ ჯარები გაეგზავნა შორეულს ისპაჰანში, მაშინ რაღა პასუხი უნდა გაეცა პეტრე დიდისათვის და რიღათი უნდა დახმარებოდა მას გაზაფხულზედ. თუ, რასაკვირველია, შემცდარად ჩავთვლით ვახტანგს, მაშინ შემცდარი იყო მარტო ეხლა კი არა, არამედ თავიდგანვე.

ასე იყო თუ ისე, ვახტანგმა უარი შეუთვალა სპარსეთს, მით უმეტეს, რომ ძლიერი მტერი ოსმალეთი კარზედ მოსდგომოდა და განადგურებას ემუქრებოდა. ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ოსმალეთმა აზრუმის ფაშას შეუთვალა საქართველოზედ გაილაშქრე და დაიპყარ იგიო.

მაგრამ ვიდრე ოსმალეთის კაცი მოიდოვდა, უკვე კახეთის გამგე მაჰომედ ყულიხანი შემოესია ვახტანგის სამფლობელოს. ვახტანგის უარით გაბრაზებულმა სპარსეთმა 1723 წ. 30 იანვრის თარიღით შემოუთვალა მაჰომედ ყული ხანს, რომელიც სულით და გულით მუსულმანი იყო, ქართლი შენთვის მოგვიციაო. მაჰომედ ყული ხანიც, რომელიც ვახტანგის საჯაროდ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ალმაცერად უცქეროდა მას და ასმენდა შაჰთან, როგორც მის მეამბოხეს და მოღალატეს, აღარ დააყოვნა და სპარსთა მცირე ჯარების დახმარებით შემოესია ქართლს, მაგრამ ვახტანგმა საშინლად დაამარცხა და განდევნა ქართლიდან. მაჰომედ ყული ხანმა ამის შემდეგ მაინც ფარხმალი არ დაჰყარა, მოიხმო ლეკები, პირობა მისცა თბილისს სამის დღით სათარეშოდ დაგითმობთო, ანაზღეულად დაეცა ქართლის ჯარს, როცა ისინი უზრუნველად ძილს მისცემოდნენ, შემუსრა ისინი ერთიანად და თვით ვახტანგმა კი ძლივს მოასწრო ცხენით გაქცევა და თავის შველა. ლტოლვილმა ვახტანგმა თხინვალს შეაფარა თავი*).

სწორედ ამავე დროს დიდმა ვეზირმა და სარასკირმა ოსმალთა ლაშქრისამ, რომელნიც თავრიზისა და სრულიად ადირბეიჯანის დასაპყრობლად იყვნენ წამოსულნი კარნუს ქალაქიდან მკვახედ შემოუთვალეს ვახტანგს, საჩქაროდ მორჩილება გამოგვიცხადეო. თან ამ მუქარას არზრუმის ფაშა გამოადევნეს ოცი ათასის მხედრობით, რომელიც წამოვიდა და ქართლის საზღვარზე დაბანაკდა.

ცივს უარზედ იდგა ვახტანგი, მაგრამ დიდებულნი ურჩობდნენ. შეიკრიბნენ სათათბიროდ თავადნი და წარჩინებულნი, მსჯელობა იქონიეს და გამოუცხადეს ვახტანგს, რომ საჭიროა ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადოთ, დროებით ვეყმოთ, ვიდრე რუსეთის იმპერატორი შემახას არ აიღებს და იქ არ დამკვიდრდება. „უკეთუ დროებით არ დამორჩილდებით, გაიძახოდნენ დიდებულნი, მთლად დავიღუპებით, შაჰი, ჩვენზედ არის გამწყრალი, ოსმალეთის ჯარები კარზედ მოგვდგომია, შენი ძმა კახეთის გამგე კისერზედ წამოგვაჯდა და მთელი ქართველის ჩანთქმას ლამობს, მაშ რა უნდა ვქნათ თუ არ დავმორჩილდებით“. მეფის კარად გამოგზავნილი ტოლსტოი და ბაადურ თურქისთანიშვილი ურჩევდნენ არ დამორჩილებოდნენ ოსმალეთს, თუ მაგათ ეყმობით შემდეგში მაგათ ბრჭყალებიდგან გამოსვლა ანგრე რიგად ადვილი არ იქნებაო, ეუბნებოდნენ ისინი, გარდა ამისა რუსთა ხელმწიფესაც, რომელიც თქვენ საშველად, მოდიოდა, განარისხებთო. ორი თვე გამაგრდით, მოითმინევით და ნახავთ რუსეთის ძლევამოსილი მხედრობა როგორ გამოილაშქრებს კავკასიისკენაო“.*) მაგრამ დიდებულნი ულმობელნი იყვნენ და თავისას გაიძახოდნენ, მაგდენა მხედრობის გამკლავება ჩვენ არ შეგვიძლიანო. ამავ დროს ოსმალეთი ქათინაურებს ჰპირდებოდა, კახეთის მმართველს მაჰომედ ყული ხანს დავამარცხებთ, განვდევნით ქარელიდამ და სამეფოს ისევ თქვენ დაგიბრუნებთო. ვახტანგსაც მეტი ჩარა არა ჰქონდა ქვემო ქართლიდამ განდევნილს, მას ეხლა მხოლოდ-ღა ზემო ქარელი ემორჩილებოდა, რომლის დიდებულნიც ურჩობას უცხადებდნენ და იმასაც მეტი ძალა არ დარჩენოდა, რომ მორჩილება არ განეცხადებინა. ოსმალებს ვახტანგმა თავისი შვილი ბაქარი და ძმა იასე მიაგება. ოსმალებმა კახეთის გამგე მაჰომედ ყული ხანი შეიპყრეს, დააპატიმრეს, თბილისში მდგომი სპარსეთის ჯარიც მოსპეს და მათს მაგიერ იანიჩარები ჩააყენეს, ხოლო გამგეობა ქართლისა ბაქარს ჩააბარეს. გახარებულმა ვახტანგმა ოსმალეთს ძღვნად „წარუვლინა 12 ჯორი კიდული ოქრო-ვერცხლითა და მორჭვილითა“.*) მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ქართველთა სიხარული. თუმცა ბაქარი დანიშნეს ქართლის გამგედ ოსმალებმა, მაგრამ ფაქტიურად თითონ განაგებდნენ ყველაფერს და არაფერს ეკითხებოდნენ ბაქარს. თბილისში მოიკალათა ჯაფარ ფაშამ, რომელიც სრული ბატონი შეიქნა ქართლისა და ბაქარი იძულებული იყო დროზედ გასცლოდა ქართლსა, რადგანაც უკვე საშიში ხდებოდა მისი იქ ყოფნა. ბაქარი გაიქცა და მამასთან მივიდა ცხინვალს, საიდგანაც ორთავენი იმერეთში წავიდნენ და იქ შეეხიზნენ.

ოსმალები ამის შემდეგ მოედნენ მთელს ქვეყანას, დაიპყრეს ყველა ციხე-სიმაგრეები და შიგ თავიანთი მეციხოვნე ჯარები ჩააყენეს. ჩქარა მთელმა ქართლ-კახეთმა იგრძნო და იწვნია მათი მუხრუჭები და ყველგან გმინვა-კვნესა გაისმა. დაბა-სოფლებში მოლები ჩააყენეს და ძალზედ ხალხს გამუსულმანება დაუწყეს, ეკლესიანი და მინისტერნი გაძარცვეს, ძვირფასი მხატვრობა გაიტაცეს და შებილწეს. იავარ ჰყვეს ხატნი და ჯვარნი, ეკლესიანი ცეცხლისა მიერ დასწვეს და მრავალნი ქრისტიანენი მოსწყვიტეს, ოხერ ჰყვეს ქალაქნი და სოფელნი“...*) ასე მოსთქვამს დომენტი ქათალიკოსი თავისს წერილში იმპერატორისადმი მიწერილში. არა ნაკლებ სამწუხარო სურათს გვიხატავს არაგვის ერისთავი ოთარი აშტარხანის გუბერნატორ ველინსკთან მიწერილს წერილში: „აზრუმის ფაშა ჩამოვიდა დიდის ჯარით ქალაქშიდ არის, კიდევ სხვის ჯარს მოელის. ვინცა ბატონები იყვნენ, ან თავადები ხელში ჩაიყარეს, იქ არიან. ამისგან უფრო საქრისტიანოს საქმე აღარ გაუჭირდების: ქრისტეს სარწმუნოება და ძალი ახლა გაგიჩნდებისთ. თუ ქვეყნის შველა გინდათ, ნულარ გვიანობთ, აგების ქვეყანა არ გაურჯულდეს. მალე თავს შეიდევით, თორემ ქვეყანა რომ გაურჯულოვდეს ჩვენ ნულარ გაგვიწყრებით“**). მაგრმ ყველაზედ უფრო საშინელი შევიწროების სურათს ვხედავთ კახეთის სამღვდელოებს და დიდებულთაგან იმპერატორისადმი გაგზავნილს თხოვნაში, რომელზედაც ხელი უწერნია მრავალ ეპისკოპოსსა და წარჩინებულ პირთ. „ეკლესიანი დასწვეს და დაარღვიეს, წმინდა საკურთხეველი და სიწმინდე შეაგინეს, წმინდა სახარება დახიეს და სამღვდელო შესამოსი ყვეს თავისა მათისა სამოსლათ, კაცნი მოსრნეს და მოსწყვიტეს ესე ყოველი ბოროტი მოაწიეს ჩვენზედან მტერთა მათ ქრისტეთა და ჩვენ რომელიც დარჩომილ ვართ ერთ უგულეს და ლაღ და უპოვარს მთაში შეუდულნი გარეთ შეწუხებულნი გარეთ, შიშითა წყურვილითა და სიმშილითა... ჩვენ ეპისკოპოსნი უსჯულო, რომ არ შევიქნებით, თავების დახოცვის მეტი აღარა იმედი იქნება. ჩვენ სხვა ბევრი ვინმე უსჯულო შეიქნების, ასე საქმე აქვს გაჭირვებულ ქვეყანას და ქრისტიანობას“.*)

ამასვე იწერება ცხინვალში გამაგრებული და მერე იმერეთში გაქცეული მეფე ქართლისა ვახტანგი, რომელიც დიდათ შესთხოვდა რუსეთს: ქვეყანა ხომ გააოხრეს ხუთს ალაგზედ, ქალაქის გარშემო სოფლები სულ დაანგრიეს და მოსწვეს, ტყვე მრავალი დაატყვევნეს, ენით არ მოიხსენება აქაური ჭირი. კახეთი ხომ სულ ლეკმა დაიჭირა... თუ შებრალება არ გველირსა, ამ ზაფხულ აქეთ ქრისტეს მხსენებელი აღარ დარჩება. ქრისტეს გულისათვის ამ ქვეყანას ნუ მოგვიძულებთ და ერთი შებრალება რამ გვაღირსეთ. თუ რამ იქნება ამ ზაფხულ თვარამ, ამას უკან აქაური საქმე და შეწყალება ურგო იქნება“**) მეორე წერილშიც ამასვე ევედრება და დასძენს „დიდმა ხელმწიფემ არ დაგვინდოს და არ უგულებელ გყოს. აქამდინ ხომ ფოცხვერის ჰანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჰანგში არ შეგვაგდონ“.

(დასასრული იქნება)

**ზ. ედილი.**

---

*) იხ. Акты, Присоед. Грузіи къ Россіи გვ 66.

*) Бутковъ, ტ. I.

*) Соловьевъ, Исторія Россіи გვ. 704, ტომი IV.

*) ვახუშტი ბატ. საქართველოს ცხოვრება გვ. 135.

*) Переписка გვერდი 152.

**) იქვე, გვერდი 154.

*) იქვე, გვერდი 170.

**) იქვე გვერდი 103,

ვი კომიტეტი. წამოსვენების ნებართვა უკვე აღებულია სარატოვში.

**ჭოლა ლომთათიძის** გარდაცვალების გამო „თ. აზრის“ რედაქციას ბევრი სამძიმრის დეპეშები და წერილები მოსდის. სამძიმარი მიუღია: ნოე ჟორდანიასი, ია ეკალაძისა, ქუთაისიდან ინტ. ამხანაგებისა, „თან. აზრის“, ასოთ-ამწყობთა, „საქართველოს“ ასოთ-ამწყობთა, ტფილისის მომღერალ მუშათა გუნდისა და მრავალი სხვა.

— კვირას, 8 გიორგობისთვეს, საღამოს 5 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულ **ჭოლა ლომთათიძის** სულის მოსახსენებლად.

**გამოქცეული ებრაელები.** ბაქოს ებრაელთა წარმომადგენელი შური, დემბო და მ. ო. გრუზენბერგი მეფის ნაცვლის თანაშემწე ნ. ლ. პეტერსონთან იყვნენ. დეპუტაციას უნდოდა გამოერკვია კავკასიაში გამოქცეულ ებრაელთა ბედი. პეტერსონმა განუცხადა: კავკასია მხოლოდ ადგილობრივ გამოქცეულთათვის არის დანიშნული, სხვა შემოხიზნულთ კავკასია უნდა დასტოვონ. მათ ერთბაშად კი არ გაგზავნიან, არამედ თანდათანობით, თუმცა აქ ყოფნის დროს მათ ადმინისტრაცია ნივთიერად დაეხმარებათ.

**ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოდ.** ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის მთავარმა კომიტეტმა 20.000 მანეთი გადასცა ქალაქის ცენტრალ კომიტეტს ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად.

**სასურსათო კომისია.** საქველმოქმედო საზოგადოების მიერ არჩეული სასურსათო კომისია პირველად შეიკრიბა 8 გიორგობისთვეს. კრება გახსნა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ჰ. ა. გოთუამ და მანვე განმარტა კომისიის მოვალეობა. კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად თავ. გ. ნ. დიასამიძე.

**ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ.** 1918 წელს ჯარში გასაწვევი ახალგაზდანი შეიძლება წლეულს იქმნან გაწვეულნი. მოსწავლეებმა, რომელნიც გასაწვევთა რიცხვში ურევიან და რომელთაც უნდათ კანონიერი შეღავათით ისარგებლონ, ქრისტეშობისთვემდე უნდა წარუდგინონ სასწავლებლის მოწმობა ადგილობრივ სამხედრო საკრებულოს.

**ვაზის წამალი.** სათანადო მთავრობის განკარგულებით ფრიდონოვის სავაჭრო სახლს დღეში 5 ვაგონი მიეცა არხანგელსკიდან შაბიამანისა და გოგირდის გადმოსატანად.

**სასურსათო თათბირზე,** რომელიც დღეს მოხდება მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით, მიწვეულია აგრეთვე თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი.

**საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი,** როგორც ხმა დადის, ინიშნება პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად, ნაცვლად მიტროპოლიტის ვლადიმირისა, რომელიც გადაყვანილ უნდა იქნას კიევის მიტროპოლიტად აწ განსვენებულ ფლავიანეს ადგილას.

**ანდრია ერისთავი.** ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავ. ა. მ. ერისთავი.

**ქუთაისის ქალაქის მოურავი** ი. მ. ჩიქოვანი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება. მის ჩამოსვლას კავშირი აქვს ქუთაისის გუბერნიაში გადმოხვეწილთა შესახებ საკითხის გამორკვევასთან.

**ამხანაგობის სტამბაში** 6 გიორგობისთვეს მუშებმა სამეზე ხელი აიღეს ჯამაგირების მიუღებლობის გამო. (თ. აზ.)

**ქიზიყიდან** ტფილისს დაბრუნდა ავადმყოფი მგოსანი **ირ. ევდოშვილი.** იგი მგზავრობას დაუსუსტებია, რამდენიმე დღეს დაისვენებს და მერე გამგზავრებას აპირებს სოხუმში, სადაც გაზაფხულამდე დარჩება.

**მეფუტკრეობა ამიერ-კავკასიაში** მთელი რუსეთის მეფუტკრეობა იძლევა წლიურად 245.000 ფუთ თაფლის ფიჭს, რომელიც ფასობს დაახლოვებით 5.700.000 მანეთი. ყველაზე მეტ ფიჭს იძლევა რუსეთის შიდა გუბერნიები—წლიურად 210.000 ფუთს, ამიერ-კავკასია—20.000 ფუთს, შემდეგ ციმბირი და შემდეგ შუა აზია. მაგრამ რუსეთის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული რაოდენობა, მარტო საეკლესიო სანთლის ქარხნებს უნდება წლიურად 200.000 ფუთამდე ფიჭი; ამიტომ მშვიდობიანობის დროს გერმანეთიდან შემოჰქონდათ რუსეთში 138.158 ფუთი ფიჭა, მაგრამ ამ ჟამად იქიდან საქონლის შემოტანა შეუძლებელია. აღნიშნულ გარემოების გამო კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოებამ გადასწყვიტა მოიწვიოს მცოდნე პირთა კრება, რომელმაც უნდა გამონახოს ღონისძიებანი მეფუტკრეობის გასაფართოვებლად კავკასიაში, რათა მოთხოვნილება სანთლის ფიჭისა ადგილობრივ იქმნას დაკმაყოფილებული.

**გადამდები სენი.** 9 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 18, ქუნთრუშიანი 131, სახადიანი 47, საოფლიანი 41, ხუნაგიანი 24 და ყვავილიანი 3 კაცი.

**სურსათი.** 7 გიორგ. ტფილისში რკინის გზით შემოიტანეს: ფქვილი 11 ვაგ., ბოსტნეული 1 ვაგ., ხილი 6 ვაგონი, ღვინო 7 ვაგ., თევზი 132 ფუთი, ყველი 235 ფუთი, კარაქი 854 ფუთი, ბრინჯი 160 ფუთი.

### თელავი.

ოთხ და ხუთ გიორგობისთვეს ტფილისის გუბერნიის სამხედრო საკრებულომ, რომელიც ტფილისიდან ჩამოვიდა, შეამოწმა ის სათადარიგო და ახალგაზრდა ჯარის კაცნი, რომელნიც წინედ იყვნენ შემოწმებულნი და ვადა ჰქონდათ მიცემული, ან სრულიად იყვნენ განთავისუფლებულნი.

— 14 გიორგობისთვეს თელავის საკრებულო დარბაზში გაიმართება გასართობი საღამო წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

— შუამთის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ნესტორი, რომელიც, როგორც ხმები დადიოდა, მოწამეთაში გადაჰყავდათ, ისევ შუამთის მონასტერში იქმნა დატოვებული.

## ჭოლა ლომთათიძე

(სპირიდონ მცირიშვილი)

4 გიორგობისთვეს ხანგრძლივ გაწამებისა და უმადურ ცხოვრების შემდეგ, სარატოვში გარდაიცვალა ქართველი მწერალი და მეორე სახელმწიფო სათათბიროს ნადეპუტატარი ბიკენტი (ჭოლა) ბიბოს ძე ლომთათიძე. მისი ასე უდროვოდ და გზათაუკან გარდაცვალება ორნაირად სატკენია ქართველის გულისათვის.

ჭოლა ლომთათიძე, მწერლობაში —სპირიდონ მცირიშვილი, იგივე გერი, იგივე ოლია, მეტად ნაზი და სათუთი სიმების პატრონი იყო. მისი მხატვრული სადაობით, ძლიერის განცდით, თავისებურის ფორმით და უაღრესი გულწრფელობით გადმოცემული განცდანი, ნამდვილ ესტეტიურ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს, ხან სევდით შეზავებულს, ხან—უზაკვო იუმორით შენელებულს.

მისი ნაწერები გაბნეულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ქართველთა უმრავლესობას, შესაძლებელია, არც კი წაეკითხოს ბევრი მათგანი.

ამისათვის სასურველია და საჭიროც, რომ განსვენებულ ჭოლას ნაწერები შეიკრიბოს და გამოიცეს.

მეორე მხრივ ჭოლა ლომთათიძე, როგორც დეპუტატი, მეორე სახელმწიფო სათათბიროსი, ერთ დროს გაციმბირეს

მისი სუსტი ჯანი, რა თქმა უნდა, დადნა მუდმივ გაწამებაში და თავისი ქვეყნიდან გარდახვეწილმა უგზო-უკვლოდ განუტევა სული.

ესეც განწირული მსხვერპლია ჩვენი ქვეყნის იმ უბედო ბედისა, რომლის გამოსაბრუნებლად, სხვა და სხვა გზით მიმართული მებრძოლნი, უსიამტკბილოდ ეთხოვებიან წუთი სოფელს.

ნ...

## წლიური კრება

„განათლების“ საზოგადოებისა.

წყნარად და სიყვარულით აკეთებს ეს პატარა საზოგადოება თავის დიდს საქმეს, ეწევა ერის წინაშე დიდს სამსახურს—სცდილობს საღ ეროვნულ ნიადაგზე აღზარდოს ჩვენი საზოგადოების ულარიბესი ნაწილის შვილები. სასწავლებელში ყოფილა 250 ბავში. სიამოვნებით აღვნიშნეთ რომ „მყუდროებით მოცულ ჩვენ არეზე“ „განათლების“ საზოგადოებამ მეტად გამამხნევებელი სიტყვა შემოიტანა—ქალების სასოფლო სემინარიის დაარსების შესახებ. მას ჰქონია სხდომები სემინარიის შესახებ, აურჩევია საგანგებო კომისია პროგრამების შესამუშავებლად და მრავალ აუცილებელ და მორიგ საკითხების მოსაწესრიგებლად.

საზოგადოება უკვე შესდგომია პირველ ივლისის კანონის განხორციელებას და პირველ კლასებში ახალი პროგრამებით სწარმოებს სწავლა.

ეს დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაა და ყველა ჩვენგანიც მოვალეა თანაუგრძნოს მას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეროვნული ცხოვრების საღად დაყენება მხოლოდ საღად აღზრდილ თაობას შეუძლიან. მომზადება ეროვნულად აღზრდილ სახალხო მასწავლებლისა, რასაც უსახავს აზრათ თავის სემინარიის განათლების საზოგადოება, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ერის კეთილდღეობისაკენ გადასადგმელად. ჩვენი მოვალეობაა საქმის დამწყობთ მარტოობა არ ვაგრძნობინოთ.

უხვი შეწირულება განსვენებულის სოლ. კიპრიზოვისა, აღთქმული ყოველ წლიური დახმარება თავად-აზნაურობისა და კერძო პირთა შეწირულება და ამასთან ერთად საქმის თაოსანთა სიყვარული და რწმენა თავდებია იმისა, რომ სურვილი მართლა საქმეთ იქცევა, კეთილი განზრახვა მართლა კეთილად დაგვირგვინდება.

კვირას, 8 გიორგობისთვეს იშვიათის ხალისით, მწყობრად და დარბაისლური საქმიანობით ჩაიარა კრებამ.

თავმჯდომარეობდა ბ. ექ. გაბაშვილი, მდივანი ივ. ყიფშიძე.

დაესწრო წევრთა საკმაო რიცხვი. კრებამ მოისმინა მოხსენებანი გამგეობისა, სარევიზო კომისიისა და საგანგებო კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონოდა საქალებო სემინარიის პროგრამების შედგენა, ტიპის დამუშავება და სალსრის გამოძებნა.

პირველი, დიდის ყურადღებით შედგენილი, კრებამ მადლობით დაამტკიცა, დაამტკიცა მეორეც ცოტაოდენის სახელმძღვანელო შენიშვნების შეტანით სამერმისოთ.

უკანასკნელმა—მზრუნველი კომიტეტის მოხსენებამ დიდი იმედი და მადლობის გრძნობა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. კომისიას მართლა ბევრი უმუშავია, საჭირო მასალა მოუგროვებია, შეუმუშავებია განსაზღვრული ტიპი მომავალ სასწავლებლისა, შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა და ყოველივე ღონე უღონია სალსრის საშოვნელად. საქმის დიდის ცოდნით და სიყვარულით, მისი განხორციელების ღრმა რწმენით შედგენილმა მოხსენებამ კრებაც ასხურა ამ საჭირო და სასარგებლო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობას და აქვე გადასწყდა მიმართონ კიდევ რამდენიმე სალსარს საქმის განსახორციელებლად. სხვათა შორის გადასწყდა დაარსდეს სამზრუნველო კომიტეტი და მიმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დახმარებისათვის.

კრების გახსნისას ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს განსვენებულ სოლომონ კიპრიზოვის ხსოვნას და შემდეგ მადლობა გამოუცხადეს მის შვილს გიორგის თანაგრძნობისა და მამის ანდერძის განაღდებაში დახმარებისათვის.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ქართველ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად აირჩია: ქ. ქ. ანასტასია წერეთლისა, ექ. მესხი და პ. სარაჯიშვილისა. სამზრუნველო კომიტეტში: გენერალი მაყაშვილი მეუღლით, ბ-ნი ივ. ზედგინიძე მეუღლით, ქ-ნი ბაღდოევისა და სხვანი. სარევიზო კომისია: ბბ. ყიფშიძე ივანე და ქარუმიძე შალვა.

დაევალა ქ. ნინო ბეჟანის ასულს ყიფიანისას, გენ. მაყაშვილს და ექ. გაბაშვილს მოახსენოს საზოგადოების გულითადი მადლობა ტფილისის თავად-აზნაურობას უხვი ყოველწლიური შემოწირულებისათვის.

კრებამ მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და დაიხურა სამს საათზე.

## რუსის მხედრობის პირველი ნაბიჯი საქართველოში

(დასასრული)

ტოტლებენი მოზდოკში მოვიდა და იქ დაუწყო შეკრება თავის ჯარებს.*)

რადგანაც ზამთრის პირი იყო და საქართველოში მთელი ჯარის გადასვლა ძნელი საქმე იყო, ამისათვის ტოტლებენმა 400—კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი წამოიყვანა ოთხი ზარბაზნით და დანარჩენი ჯარი კი მოზდოკში დასტოვა საზამთროდ. ტოტლებენი პირველი რუსის გენერალი იყო, რომელმაც კავკასიის ქედი გადმოლახა და საქართველოში გადმოვიდა. იმ დროს დღევანდელი საქართველოს სამხედრო გზის ხსენებაც კი არ იყო.

ზამთარი ტოტლებენმა ქართლში გაატარა. თავდაპირველად ტოტლებენსა და მეფე ერეკლეს შორის კარგი განწყობილება სუფევდა, მხოლოდ ბოლო დროს მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა. საქმე იმაში იყო, რომ ტოტლებენის რაზმში მსახურებდნენ ქართველი ოფიცრები. ტოტლებენს თითონ მიჩვეულს ღალატს სხვაც მოღალატე ჰგონოდა. ქართველ ოფიცრებს ყინდობლად ეკიდებოდა და ავიწროებდა. ტოტლებენის თავხედობა იქამდის მივიდა, რომ მეფე ერეკლეს მოსთხოვა მისი რაზმიდან ქართველი ოფიცრების დათხოვა. ადვილი მისახვედრია, რომ ერეკლეს მისი თხოვნა არ მოეწონებოდა. ქართველ ოფიცრებს გარდა ტოტლებენი ზოგიერთ რუსის ოფიცრებსაც არ ინდობდა. მის რაზმში მსახურებდა ერთი რუსი ოფიცერი გვარად შჩეგოლკოვი, რომელიც ნათესავი იყო დედოფალი ელიზავეტასი და ამით თავი მოჰქონდა. შჩეგოლკოვს ქართველობა ძალიან უყვარდა და მათთან ატარებდა მომეტებულად თავისუფალ დროს. შჩეგოლკოვს ტოტლებენი მეტად ეჯავრებოდა, შეთქმულობას აწყობდა და უნდოდა მისი დატყვევება. ტოტლებენმა ეს გაიგო, მოასწრო და თითონ დაატყვევა შჩეგოლკოვი.

ამას კიდევ სხვა უსიამოვნებაც მოჰყვა. ტოტლებენი არტილერიას მოელოდა მოზდოკიდან. არტილერია უნდა წამოეყვანა ქართველ ოფიცერს პოდპოლკოვნიკ რატიშვილს. ტოტლებენი არტილერიას საჩქაროთ მოელოდა და რატიშვილი კი ისევ მოზდოკში იჯდა და ტოტლებენის ბრძანებას არ ასრულებდა და არც პასუხს აძლევდა. ტოტლებენმა გაიგო, რომ რატიშვილს ოფიცერ შჩეგოლკოვთან მიწერმოწერა ჰქონდა გამართული, ისიც მოღალატეთ ჩასთვალა და გაგზავნა ოფიცრები რატიშვილის დასატყვევებლად. უკანასკნელმა თითონ დაატყვევა ტოტლებენისაგან გაგზავნილი ოფიცრები და არტილერიაც თითონ მიითვისა და პირდაპირ ტფილისში გადმოვიდა მეფე ერეკლესთან. რატიშვილი, რომ ტფილისში მოვიდა ოფიცერი შჩეგოლკოვიც, ტყვეობიდან გაიქცა. რატიშვილსა და შჩეგოლკოვს გარდა— სხვა რუსის ოფიცრებმაც უღალატეს ტოტლებენს. ბევრმა მათგანმა ტოტლებენის ბანაკს თავი მიანება და რუსეთისაკენ ჰქნა პირი. გზაში მათ უნდოდათ საქართველოში მომავალი ტომსკის ქვეითა პოლკი აეჯანყებინათ. ტოტლებენს ბრაზი მოსდიოდა. გაჯავრებულმა უკანასკნელი ძალა შეჰკრიბა და საჩქაროთ გაეშურა, რომ მომავალ ტომსკის პოლკს ადრე შეერთებოდა. გზაში დაიჭირა ანანაურის ციხე და შიგ გამაგრდა. ამით მან მეამბოხეებს ხელი შეუშალა, ყველა მოღალატე ოფიცრები დაატყვევა და სამართალში მისცა.

ტოტლებენი თავის უბედურებას საქართველოს სამეფო სახლის მოწევრებს აბრალებდა. იმას კი არ გრძნობდა, რომ ყოველიფრის მიზეზი თითონ იყო. ის ეკატერინე დიდსა სწერდა, როგორც კი ტომსკის პოლკს შეუერთდები მაშინვე ტფილისისაკენ წავალ, უნდა გადაუხადო სამაგიერო და დავსაჯო მოღალატენი, უნდა დავიბრუნო არტილერია, რომელიც რატიშვილმა გაიტაცა, წავართვა მას სურსათი და ჯარი და დაუმორჩილო საქართველო რუსეთს; ერეკლე მეფეს უნდა ავხადო ანდრეევის ლენტი, გადავასახლო პეტერბურგს და ან და ჩავდენო შავ ზღვაში. ამ წერილით ნათლათ დაახასიათა ტოტლებენმა თავისი პიროვნება. განა ამ ფიქრებით და სურვილით აღჭურვილ ადამიანს შეეძლო კარგი რამ ჩაედინა საქართველოში. განა მას შეეძლო დახმარება გაეწია ქართველების ჯარისათვის ოსმალებთან ბრძოლის დროს?? ასეც მოხდა.

ასპინძის ომის დროს ერეკლე მეფე და ტოტლებენი ერთად გაემგზავრენ ასპინძისაკენ (1770 წ.) ბრძოლის წინ, სამხედრო თათბირის დროს, მათ შორის უსიამოვნება მოხდა. ერეკლეს უნდოდა, რომ რუსის ჯარს მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, ამისათვის ურჩევდა ტოტლებენს ავანგარდში წასულიყო. ტოტლებენი სხვა და სხვა მიზეზებს იგონებდა და უარზედ იყო. ლაპარაკში ჩაერია ირაკლის შვილი, ტახტის მემკვიდრე გიორგი, რომელიც მეფეს თან ახლდა.

— გენერალო! პატიოსნება არ არის ამ დროს მეფის ღალატი! დაუყვირა გიორგიმ.

მე ბრძანება არა მაქვს იმპერატრიცისაგანო, მკვახედ მიუგო ტოტლებენმა და მასთან მე არ შემიძლია მრავალ რიცხვოვან მტერს შევებრძოლო ასეთი მცირე ჯარით, როგორიც მე მყავსო.

— თქვენ, გენერალო მხოლოდ არცხვენთ რუსის მხედრობას და ამცირებთ დიდებული რუსეთის ღირსებას, განაგრძო ბატონიშვილმა. ჩვენ მარტო შევებრძოლებით მტერს და როდესაც გავიმარჯვებთ, მაშინ დედოფალს მოვახსენებთ თქვენს სიმხდლესო.

ამ სიტყვების შემდეგ ტოტლებენმა თათბირს თავი მიანება და რუსის რაზმს უბრძანა განშორებოდა ქართველებს. *)

ირაკლი მარტო დარჩა. მცირე ჯარით მასაც არ შეეძლო შებრძოლებოდა მრავალ რიცხოვან მტერს. ისევ უკან დახევა არჩია. მაგრამ ლეკებისა და ოსმალოს შეერთებულმა ჯარმა ირაკლის უკანიდან გზა მოუჭრეს და დიდ განსაცდელში ჩააგდეს. ირაკლის არა ერთხელ უნახავს ასეთი გასაჭირი. ახლად არ ეჩვევოდა. მტერს ეკვეთა. ასტყდა საშინელი ბრძოლა. მეფე ჩვეულებრივ უბრალო ჯარისკაცებთან ერთად იბრძოდა და თავისი სიმამაცით მათ ამხნევებდა, ხელ-ჩართული ბრძოლის დროს ირაკლის მტერმა რკალი შემოარტყა, მაგრამ ირაკლი ერთ წუთსაც არ შეშინებია, თავის ხელით მოჰკლა ლეკთა ბელადი და ამით მტერს გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯა. დამარცხებულმა მტერმა პირი იქცია... გამარჯვებულნი ქართველნი ლხინს მიეცნენ, მოღალატე კი ცალკე პირ-ურცხვად იდგა. რაღა დარჩენოდა გენერალ ტოტლებენს,—პეტერბურგში საჩივარი გაგზავნა, სწერდა, ქართველმა ჯარმა უღალატა და ამისათვის ოსმალებთან ბრძოლის ომში მონაწილეობა არ მიმიღიაო. იმას კი არა სწერდა—რომ სად, როდის და რა პირობებში მოხდა ბრძოლა. მეფე ირაკლიმაც თავის თავად შეუთვალა ეკატერინას, თუ როგორ მოიქცა ტოტლებენი და რა განსაცდელში ჩააგდო მან ქართველები ბრძოლის დროს.

ეკატერინემ საქმის გამოსაძიებლად კაპიტანი ტაზიკოვი გამოგზავნა; მინამ ტაზიკოვი საქართველოში მოვიდოდა, ტოტლებენმა ქართლი მიატოვა და იმერეთში გადავიდა. აქ მან რამდენიმე ციხე განათავისუფლა ოსმალებისაგან და ბოლოს 6 აგვისტოს ქუთაისში შევიდა. ქუთაისში ოსმალებს რუსებმა 35 ზარბაზანი და ექვსი დროშა წაართვეს. ქუთაისიდან ტოტლებენმა ფოთისაკენ გაილაშქრა, გზაში ოსმალოს ჯარი დაამარცხა და ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ცოტა ხნის უკან იძულებული შეიქნა უკან დაეხია.

ეკატერინე დიდმა არ იცოდა დანამდვილებით თუ რა ხდებოდა საქართველოში მყოფ რუსის ჯარში. ხან ღალატი და ხან გამარჯვება მას რაღაც ეჭვებს უბადებდა—გენერალ ტოტლებენზედ.

ბოლოს ტოტლებენი საქართველოდან დაიბარეს და მის მაგიერ გენერალი სუხოტინი დანიშნეს. *)

სუხოტინმა საქართველოში მოსვლისათანავე ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ჩქარა იგრძნო თავისი უძლურება. გამარჯვებას პირი არ უჩანდა და ამისათვის ავადმყოფობა მოიგონა და ტფილისში წავიდა. იმერეთის მეფემ სოლომონმა საჩივარი გაგზავნა სუხოტინზე. დაინიშნა ხელ-ახლივ გამოძიება, რის შემდეგ ეკატერინემ უსარგებლოდ სცნო რუსის ჯარის საქართველოში დარჩენა და უბრძანა ჯარს რუსეთში გამგზავრებულიყო. 1772 წელს, რუსის ჯარმა საქართველოს საზღვრები მიატოვა. რუსის ჯარს დიდძალი ჯარის კაცები გამოაკლდნენ და საქართველოში აქეთ იქით გაიფანტნენ. ერთი მათგანი, ვინმე სემიტრიევი 300 კაცით კასპიის ზღვაზედ მივიდა, იქ სპარსეთის საზღვრებზე ყაჩაღობა დაიწყო, აქ მან ოთხი ზარბაზანი იგდო ხელში და შემდეგ მდ. ვოლგაზედ გადავიდა, მაგრამ იქ ყაზახებმა დაიჭირეს და გასცეს.

ასეთი იყო პირველი რუსის ჯარის ნაბიჯი ჩვენში და მათი ჩვენდამი დახმარება.

ავ. აბესაძე.

---

*) მისი ჯარი შესდგებოდა: ტომსკის ქვეითა პოლკისაგან, ცხენოსანი ჯარის ოთხი ესკადრონისაგან, 50—ყაზახი რუსისაგან და თორმეტი ზარბაზანისაგან. ა. ა.

*) Кавказская война, т. I, ст. 88.

*) თავის უქაზში ასე სწერდა ეკატერინე: „Не хвалю же и неслыханныя подозритдльносты Тотлебеновы. Я думаю, что онъ способенъ въ грузіи наши дѣла испортить, нежели оныя привести въ полезное состояніе; подлежить опредѣлить кого другого“. (Кавказская война т. I. ст. 89.)

## სოფლის ჭირ-ვარამი

წერილი მეხუთე

### გლეხის ავი და კარგი მხარე

ვინც არ იცის, რა პირობებში ტრიალებს გლეხის ცხოვრება, სიღარიბეს მისას აწერს მის უკულტურობასა და სიზარმაცეს

მაღალ ცილინდრიანი „კავალერი“ და უზარმაზარი „შლაპიანი“ „დამა“ სოფელს რომ გაუვლიან ავტომობილით და დაინახავენ გლეხის ჩაშავებულ ქოხს, დაგლეჯილ ტანისამოსს, ფეხშიშველა ბავშვებს, წამოიძახებენ: „უფ, რა ბინძურად ცხოვრობენ! მეტის მეტი ზარმაცი ხალხია!“

ეს კი არ იციან ამ „დაუზარებელმა“ „საქმიანმა“ დამა-კავალერმა, რომ გლეხის მთელი ოჯახი: ქმარი, ცოლი და შვილები მამლის ყივილიდან მოყოლებული დაღამებამდე წელ-გაუშლელი მუშაობენ, რომ მათ არ გააჩნიათ არც კვირა, არც დღესასწაული, რომ არ არსებობს მათთვის დასვენება, სტუმრად [illegible], მხიარული დროს გატარება.

გარდა ისეთი უქმეებისა, როგორც ჩაში დღეობისა რაც წელიწადში 15—20 დღეს შეადგენს, როდესაც მუშაობა გლეხს პირდაპირ ცოდვად მიაჩნია, დანარჩენ 345—350 დღეს გლეხი განუწყვეტლივ მუშაობაშია და თუ ამ მუშაობით ის კუჭს ვერ იძღობს, ტანს ვერ იცვამს, ეს მის სიზარმაცეს კი არ მიეწერება, არამედ იმ უბრალო გარემოებას: რომ გლეხი სხვისთვის მუშაობს. რომ ჰირნახული სხვისთვის მოჰყავს, ქათამს სხვისთვისა ზრდის, ოფლით ნაშოვნ ორიოდ გროშს სხვის ჯიბეს უმზადებს.

გლეხის ყოველ ოჯახს სკივრში მუდამ მოეპოვება 3—5 მანათი, ჩვრებში გახვეული. რისთვის? გგონიათ ეს ფული თავის ხარჯებს გადაარჩინა და რისიმე ყიდვას აპირებს? ის ფული იმიტომ აქვს შენახული, უცბად კარზე რომ გარდასახადი მოადგება, სასესხებლად სოფელში არ ირბინოს.

წლის თავზე რომ იანგარიშოთ საშუალო გლეხის ნამუშევარი და ეს ნამუშევარი ფულად აქციო სულ უკანასკნელი 500—600 მანათს შეადგენს, გლეხმა კი თავისთავზე რომ მოიხმაროს 50—60 მან. მეტს ვერ მოიხმარს.

ქმარი, ცოლი და ერთი შვილი მაინც დღითი-დღე მუშაობს, ნუ თუ თითო მათგანის სამუშავო დღე 10 კაპ. არ უნდა დაფასდეს, რომ გლეხს წელიწადში 100 მან. დარჩეს თავის გამოსაკვებად?!

საკმარისია გლეხის ოჯახისთვის იმ მცირე ნადელის გარდა, რომელიც მას შერჩა, ორი დღის მიწა ჰქონდეს საკუთრებად, საკმარისია 80—100 მან. გარედან შემოტანილი, მაგ. ერთ-ერთი ოჯახის წევრის მოჯამაგირეობით ნაშოვნი ფული, რომ გლეხი წელში გაიმართოს და თავისუფლად ამოისუნთქოს.

საკმარისია მაგალითად კახელი და იმერელი გლეხისთვის პატარა ნაჭერი ვენახი, რომ ოჯახში დოვლათი დაუტრიალდეს. რამდენისა უნდა გაჰყიდოს იმან ღვინო? 100—150 მანათისა და ეს ფული საკმარისია, რომ გლეხმა კუჭიც გაიძღოს, ტანსაც ჩაიცვას და სტუმარსაც პატივი სცეს.

ვისაც კი არც საკუთარი მიწა აქვს და არც ვენახი, ის უკიდურეს სიღარიბეს განიცდის.

ოჯახის ბურჯი გლეხი ორ-შაურიან ჩითის პერანგს რომ შეიკერავს, აცვია დღე და ღამ განუშორებლივ იმ დრომდე, სანამ ზედ არ შემოალპება და ნაფლეთებად არ იქცევა. გაიხდის, თვეში ერთხელ, ორი წუთით, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლმა გახურებულ თონეში ჩაუბერტყოს და მკბენარი მოაშოროს.

ღანძლის უბრალო წინდას—მთელს, დაუკერებელს გლეხის ფეხზე ნახავთ მხოლოდ აღდგომა დღეს, ზამთარში ამ დღისთვის ცოლის მიერ მოქსოვილს.

შვიდ აბაზიან ფეხსაცმელს გლეხის ქალის ფეხზე ნახავთ მხოლოდ დღეობაზე, სხვა სოფელში სტუმრად მისვლის დროს.

ფეხსაცმელს ხელსახოცში გამოჰკრავს, ხელში დაიჭერს, მთელ გზას ფეხშიშველა გაივლის, სოფლის ბოლოზე ჩაიცვამს და ისე მივა დღეობაზე.

გლეხის სახლის მომართულებას შეადგენს: ჰილოფით გადაფარებული, ფიცრული ტახტი. ტახტის ბოლოზე ცოლის მზითვად მოყოლილი სკივრი, ზედ დალაგებული ჭუჭყიანი ქვეშსაგები ერთი ან ორი გლეხის ხელითვე გაკეთებული ხის სკამი, ბუხარი, ბუხართან თახჩა, თახჩაზე ოთხი, ხუთი თიხის ჯამი, ორი, სამი თიხის ქოთანი ციცხვი და ყურიანი ტაფა.

გლეხის საჭმელს შეადგენს პური, მჭადი და ლობიო. შობა დღეს და დიდ-მარხვის აღებ-ღამეს ქათამი და კვერცხი.

გლეხი ამ სამ დღეს იძღობს მხოლოდ მუცელს. დანარჩენ დღეებში კი ნახევრად მშიერია. ლობიო იმდენი არა აქვს, რომ ყოველ დღე აკეთოს. მომეტებულად პურის, ან მჭადის ნაჭერს გახუხავს ცეცხლზე და ზედ წყალს ატანს, ამრიგად გამძღარი გლეხის კუჭი მუშაობაში მალე ინელებს საჭმელს და ამიტომ ის მუდამ მშიერია. რა დროსაც უნდა შესთავაზო გლეხს საჭმელი, უარს არ იტყვის და გემრიელად შეექცევა.

ამ შემთხვევაში გლეხი ვერ გაიგებს ჩვენი კუჭის სურვილებს, როდესაც სადილად ან ვახშმად სადმე რესტორანში მოგვიტანებენ უშველებელ სიას საჭმელებისას. დაიწყებ თავიდან, ჩახვალ ბოლოში, დაიწყებ ახლა ბოლოდან, ახვალ თავში, ვერც ერთი საჭმელი ვერ აღძრავს შენი კუჭის სურვილს და გულ-მოსული სიას ხელიდან აგდებ...

უნდა ნახოთ თქვენ სოფელში შემდეგი სურათი, რომ იგრძნოთ, მიხვდეთ მშიერი ადამიანის სულისკვეთებას.

რომელიმე ოჯახის ქალი ფიცრულ სათონეში აცხობს პურს. დახანებულ ფიცრებში უხვად გამოდის თონეში ჩაკრულ პურების სუნი და ტრიალებს სათონის გარშემო. იმ უბნის ბავშვობას მოუყრია თავი და ამ სუნს მთელი მათი პატარა არსება მთლად დაუმონებია.

პურის მცხობელი ქალი ანჩხლობს,

ილანძღება, ჯოხით ერეკება ბავშვებს, მაგრამ მაინც არ შორდებიან, ვერ მოშორებიან პურის სუნს და ელიან, იქნებ მოხდეს სასწაული და როგორმე ერთი პატარა ნატეხი ცხელი პურისა ჩაუვარდეთ ხელში. მაგრამ „გულქვა“ პურის მცხობელს არ ესმის ბავშვების სულისკვეთება, ესმის, მაგრამ მას თავისი შვილები ჰყავს, ყოველ ნაჭერს პურისას მის თვალში დიდი ფასი აქვს, თონეში ჩავარდნილ და ნაცარში ამოგანგლულ კუტის გადაგდებაც კი არ შეუძლიან და ხონჩაზე დალაგებული ცხელ-ცხელი პურები ბავშვების ალგზნებულ თვალების წინ შეაქვს სახლში.

(შემდეგი იქნება).

ხვ. ყ—ნი.

## წერილი ზაქათალიდან

როგორც ადმინისტრატიული ერთეული ზაქათალის ოლქი შესამჩნევად განსხვავდება ყველა სხვა პროვინციებისაგან. აქ არსებობს ეგრედ წოდებული „სამხედრო-სახალხო მართვა-გამგეობა“ და თვით ოლქის უფროსიც აღჭურვილია განსაკუთრებულ კომპეტენციით. ამ თანამდებობაზე ინიშნებიან მხოლოდ სამხედრო პირნი—ტომით რუსნი, რომელთაც უფლება აქვთ ოლქის საქმეების მიწერ-მოწერა იქონიონ პირდაპირ მეფის ნაცვალთან. თავის თავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ოლქის უფროსის ასეთ თუ ისეთ შეხედულობას ინგილო ხალხისადმი.

მოგეხსენებათ, რომ ინგილოები, როგორც მაჰმადიანები, აგრეთვე მართლმადიდებელნიც, განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგრისაგან... ადმინისტრაციის აგენტებს და მათ დამქაშებს ეს ფაქტიც ხელზე დაუხვევნიათ და მის მეოხებით ცდილობდენ დაემტკიცებინათ, რომ ინგილონი არ არიან ქართველები. ამ შემთხვევაში პოლიციის მოხელეთ გამოიჩინეს ლოღიკის ზედ-მიწევნით ცოდნა, ისინი ხელმძღვანელობენ არა რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით, არამედ უტყუარ სილლოგიზმით: რუსეთში მხოლოდ მაჰმადიანებს (თათრებს) არ იწვევენ ჯარში, ინგილოებიც განთავისუფლებულნი არიანამ სახელმწიფო მოვალეობისაგან და, მაშასადამე, თათრები არიან! ამ გვარ შეხედულობას ინგილოთადმი ისე ღრმად გაედგა ფესვი მმართველ წრეებში, რომ ერთხელ მისიონერადაც-კი რუსი მოგვივლინეს; განზრახული იყო ორი კურდღლის დაჭერა: რუს მისიონერს მაჰმადიანი ინგილოები უნდა გადმოერჯულებინა და იმავე დროს, გაევრცელებინა რუსიფიკატორული აზრები. საზოგადოდ საინგილოში არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას, ოღონდ-კი ინგილოებში აღმოეფხვრათ ქართველობა და, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, მათ თათრებსაც კი ანათესავებდენ.

თუ ერთი ჯურის მოხელეთა „მოვალეობას“ შეადგენდა ინგილოთა გადაგვარებისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა, საინგილოს არ აკლდა „მოკეთენიც“, რომელნიც, სამაგიეროდ, ცდილობდნენ, თუმცა უსარგებლოდ, რომ ინგილონი მჭიდროთ დაეკავშირებინათ ქართველ ერთან. სამწუხაროდ, მეორე ჯურის ხალხი თვის საწადელის აღსრულებას შეუდგნენ საკუთარი ძალ-ღონით, არ მოიმხრეს და არ მოისმინეს ქართველი დამსახურებული და პატივცემული მოღვაწენი, ხოლო თვითონ მოკლებული იყვნენ შესაფერ ცოდნას, არ შესწევდათ უნარი მწყობრად და მეთოდიურად განეხორციელებინათ დიადი საქმე საინგილოში ქართველობის აღდგენისა; მათი მოქმედება უმეტესად მიმართული იყო იმისკენ, რომ ინგილოები გარეგნულად მიემსგავსებინათ ქართველებისათვის, ამიტომ პირველ ყოვლისა ყურადღება მიაქციეს ინგილო ქალების თავისებურს სამოსელს, რომელიც მკითხველს შეუძლიან გაიცნოს ივანე როსტომაშვილის ქართველ ტიპების ალბომში. ჩვენ არა გვაქვს მიზნად დავიცვათ ინგილოური მორთულობა, მხოლოდ დავსძენთ, რომ საინგილოში ქართულ სალ იდეების გადანერგვას აწ მიღებული ტანისამოსი ხელს სრულიად არ უშლის. ზოგიერთი ქართველი მანდილოსნები გულის-პირიან კაბებით დაბძანდებიან, მაგრამ შვილებს რუს ძიძებს აზარებენ და მათი ბალღები „ნანის“ ნაცვლად „ბაიუშკი-ბაიუს“ ღიღინში იძინებენ!..

ერთ დროს სოფელ კახში მსახურებდა „ნაიბათ“ ქართველი თავადი, რომელსაც ინგილოებმა „ყოჩმაზების მგვრემელი“ უწოდეს; ინგილო-ქალს თავზე ჩითმერდინის ქვეშ აძევს შევერცხლილი მორთულობა—„ყოჩმაზები“, რომელიც წააგავს ჩვენი დიაცების ჩიხტას. ხსენებულმა „ნაიბმა“ სწორედ ეს „ყოჩმაზები“ ამოიღო თვალში და მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა: მან გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ინგილოებს ამიერიდგან ეკრძალებოდათ „ყოჩმაზების“ ხმარება, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ მისი განკარგულება სისრულეში არ მოჰყავთ, იგი თვისი საკუთარი ხელით შეუდგა „ყოჩმაზების“ „რეკვიზიციას“. შარა გზაზე, ეზოში, თუ ეკლესიის გალავანში ის მოურიდებლად ხსნიდა ინგილო ქალებს ამ მორთულობას და თანაც აგონებდა მათ, რომ ქართულად უნდა შემოსილიყვნენ. ინგილო ქალები შემდეგ ჩიოდნენ აუტანელ თავის ტკივილზე, რადგანაც უწინ „ყოჩმაზებით“ თავი თბილად ენახებოდათ. განსვენებული დიმიტრი ჯანაშვილი წინა აღუდგა „ნაიბის“ საქციელს და, თუ ხსოვნა არა გვღალატობს, მგონია, „ივერიის“ ფურცლებზე კიდევაც აღნიშნავდა ამ მოვლენას.

სხვა გზით უნდა შენათდეს ქართველობის შუქი საინგილოში. არა გარეგან გამოხატულობით, არამედ სულიერი გარდაქმნით ინგილო უნდა ემსგავსებოდეს ქართველს. რად გვინდა ქართული შეკმაზულობა, თუ მას შინა იმყოფება გადაგვარებული სხეული? ეროვნული შეგნების თავზე ძალით მოხვევა ზარალის მეტს არაფერს მიაყენებს თვით ერს.

ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ ინგილო ხალხი არ დაჰყვება იმათ, ვისაც მოუწადინია მის და საქართველოს შორის ზღუდის აღმართვა. კულტურული მუშაკნი არ დააკლდება მრავალ-ტანჯულ კუთხეს, და მათი თავგანწირული მოღვაწეობა, ეჭვს გარეშე, ღირსეულ ნაყოფსაც მოიტანს. განუწყვეტელია ეს პროცესი ინგილო ხალხის გაღვიძებისა, მას შენატრის ყოველი გულწრფელი მამულიშვილი და იღწვის, რათა უჭირველად დაგვირგვინდეს ივერიის კუთვნილების სამართლიანი აღდგენა! ხელი შეუწყოთ ჩვენც ამ პროცესს მის წარმატებაში იმყოფება საინგილოს უკეთესი მომავალი.

რ. ინგილო.

## კახეთში

### ბუნება

ბუნება თითქოს ადამიანის ცხოვრებას ანგარიშს არ უწევსო, შემოდგომის მეჯლისს შესდგომოდა, გაელვარებულ მზეს უხვად მოეფინა თავისი სხივები კავკასიის გაჭაღარავებულ ქედისთვის, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მთელ შიგნით კახეთს, თითქოს არ ესმის სოფლის ვაება და მით ნუგეშობს, რომ იგი მოწამეა კახეთის ბედნიერებისა და მის მკერდზე მიჯაჭულ ამირანს გულს ვერ გაუტეხს დღევანდელი დუხჭირი ცხოვრება... სამაგიეროდ ფშავის მთების მწუხარების ნაბანი ალაზანი მთლათ ცრემლათ ქცეული მწარე ქვითინით მოსთქვამდა მთის დაობლებას და აზვირთებული მიეშურებოდა ქვევით, რომ მტკვრისათვის გაეზიარებინა თავის გულის ნადები და მეც მის ტალღებს დავყვე, მინდოდა მეც მომესმინა ჩვენი სოფლის ავ-კარგი.

### წლევანდელი შემოდგომა

ძლიერ განსხვავდება წლევანდელი შემოდგომა, სადაა ის მხიარულობა, რომელიც თან ჰყვებოდა ხოლმე ამ თვეებს, სად იყო წელს რთველი, ნიშნობა-ქორწილები, მოკეთეებში მისვლა-მოსვლა, სოფლებში წვეულება, წინედ თუ ყველა ოჯახიდან, სიმხიარულე და სიმღერა ისმოდა, ეხლა ყველგან სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, თითქოს რაღაც საშინელ მოლოდინში სული გაუნაბია სოფელსო...

ეს მარტო მოუსავლობის ბრალი არ არის. ოჯახი არაა, რომ მისი წევრი, ხშიდად რამდენიმე გაწვეული, არ იყოს ჯარში და საშინელ ამბავს არ ელოდებოდეს ბრძოლის ველიდან.

წინედ რომ სოფლად გავწევდი, მიყვარდა სოფელ-სოფელ სიარული, მეგობარ-ნაცნობების ნახვა, სოფლის ავ კარგის გაგება, მაგრამ წელს ზოგი მათგანი ომში იყო წასული, ზოგი სხვაგან მეგულებოდა და უფრო შარა-გზას ვეტანებოდი, რომელიც სოფლის ბედს ვერ ასცდენია, წინედ თუ ამ დროს, ეს გზა ახმაურებულ აჟიჟინებული იყო, მეფიონის მაყრიონის სიმღერით, მოკეთისაგან მომავალ შეზარხოშებულ გლეხის ლოდინით, გზის ნაპირებზე დაბანაკებულ სალოცავში მიმავალ ურმებით და სხვ. ეხლა გზაში ჯგუფ-ჯგუფად მხვდებოდა დაჭრილ-დასნეულებული მეომარნი, ზოგს ღრმა ჭრილობა ეხლაც ეტყობოდა, ზოგი კი ყავარჯენს იშველიებდა, ისინი თელავში მიდიოდნენ ხელ-მეორედ შესამოწმებლად...

### წლის სარჩო.

ამ წასვლაზე ქვემო მხრის 7—8 საზოგადოების დათვალიერება მომიხდა და უმთავრესად წლის სარჩოს ნაკლულოვანობას ნაღვლობენ მცხოვრებნი, ჯერ კი უმთავრეს საკითხად სათესლე პური გახდომიათ. წელს ხომ პურის მოსავალი არა ყოფილა და რაც მოვიდა, ისიც სილა და მათრობელა, ზოგ სოფელში ეგონათ რომ რუსეთიდან გამოწერილ ხორბალს დასთესავდნენ, მაგრამ, კიდევ კარგი დროზე არ მოუვიდათ, რადგანაც როგორც მცოდნე პირებმა გადმომცეს, ეს ხორბალი ჩვენში არ იმგვარებს და ნამდვილ სათესლე პურის გამოწერა კი არავის მოჰფიქრებია. კიდევ კარგი, ზოგ სოფელს დასაფქვავი ხორბალი გამოუწერია თელავის შემნ. გამს. ამხანაგობის საშუალებით, მაგრამ ეს სადაც წვრილი კრედიტი არსებობს და სადაც არა, აქ ღვთის ანაბარას არის მიტოვებული, თითქოს გლეხი კაცი იყოს დამნაშავე, რომ მას გულ-შემატკივარი არავინა ჰყავს. ასე იყო ვაზის წამლობის დროსაც. ყველა, თბილისის მთავრობის, თუ საზოგადო დაწესებულება წვრილ კრედიტებს ჰკრძავდა და სხვა სოფლები კი არავის აგონდებოდა. სასურველია შემდეგში მაინც მიაქციონ ასეთ სოფლებს ჯეროვანი ყურადღება.

### შარაგზის შეკეთება.

ქვემო მხრის სოფლებს თელავ-სიღნაღის შარაგზაზე 25 ვერსის მანძილზე ქვიშა დაეყარათ და გზა შეეკეთებინათ. გზის შეკეთება კარგი საქმეა, მაგრამ ამისთანა დროში, როცა მუშა ხელის ასეთი სიმცირეა, როცა ყოველივე საათი ჭირნახულის მოყვანას უნდა მოხმარდეს, ამისთანა საბეგრო საქმე უნდა გადაიდოს, ან საერობო ხარჯით უნდა შეკეთდეს იგი, რითაც დიდი შეღავათი მიეცემოდათ მცხოვრებთ. თუ ვისარგებლებთ საერობო საქმის კარგად მცოდნე თავ. დიმ. ერ. ჩოლოყაშვილის დარიგებით, რომელიც ქართულ გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ამგვარი საკითხის მოგვარება არც ისე ძნელია თუ ხარჯის გამწერი საკრებულო აღძრავს შუამდგომლობას და ამ საკრებულოში ხომ ხალხის მხრივ წარმომადგენლად შედიან როგორც თავად-აზაურთა, ისე მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენლები, რომელთა მოვალეობაა არა თუ გზას, არამედ ბევრ სხვა საჭირო საკითხებს მიაქციონ ყურადღება...

### სკოლები.

ამ ჯერობაზე 15 სოფლის დათვალიერება მომიხდა, შალაურიდან—ურიათუბნამდე, ზოგ სოფლებზე მარტო გავიარე, ზოგში შევდექი და ამ 15 სოფელში მხოლოდ ექვსვანაა სკოლა, 4 სამინისტრო და 2 სამრევლო. სამინისტრო სკოლები უფრო უკეთაა მოწყობილი, აქ მეორე მასწავლებლების გარდა ცალკე ხელსაქმის მასწავლებელიცაა, რაც შეეხება სამრევლოს, ეს სოფლის მღვდელზეა დამოკიდებული, თუ მას გული შესტკივა და მრევლთან კარგ განწყობილებაშია ხომ რა კარგი, თუ არა და ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. რამდენი ასეთი სკოლა დაიკეტა ამ 7—8 წელიწადში, თუმცა ამ სკოლებს მზრუნველადა ჰყავს სამოსწავლო საბჭო თელავში, მაგრამ არ ვიცი მისი საქმიანობა, ეგ არის ეხლაც ზოგ სკოლაში მაგ. კალაურისაში თვეობით არ არის ხოლმე მასწავლებელი და ამისთანა პირობებში მეტია სკოლის წარმატებაზე ლაპარაკი.

### მოსწავლეთა რიცხვი.

სადაც კი სკოლა არსებობს, ყოველ წელს აუარებელი მთხოვნელია, ისე რომ მხოლოდ ნაოთხალს ან ნახუთალ მთხოვნელებისას იღებენ, ისიც კენჭის ყრით. მაგ. შაშიანის სკოლაში წელს 200-სზე მეტი მთხოვნელი იყო და მხოლოდ 50 ბავშვი მიუღიათ, მელაპარაკებოდა ამ სკოლის გამგე მღვ. თ. ასათიანი, რომლის მეცადინეობით შარშან სკოლას მეორე ოთახი მიუმატეს და მეორე მასწავლებელი ქალიც მოითხოვეს მაგრამ უარი უთხრეს, ეხლა ამ სოფლის მამასახლისი, გ. ქევხიშვილი ცდილობს მეორე მასწავლებლის ჯამაგირი ადგილობრივ საშუალებიდან გამონახოს, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მოწვევა.

ს. ურიათუბანში ერთი სამინისტრო სკოლა არსებობს, იყო სამრევლოც, მაგრამ დაიკეტა, სამაგიეროდ სომ. საქველმოქ. საზ—ბამ სომხური სკოლა გახსნა, რადგანაც ამ სოფელში სომხებიცა სცხოვრობენ.

### წვრილი კრედიტი.

ხშირი არ არის ეს სასარგებლო დაწესებულება კახეთის სოფლებში, მაგრამ ნაყოფი თვალსაჩინოა და შემდეგში ხომ როცა გამრავლდება აშკარად წინ წასწევს კახეთის კეთილდღეობას, მხოლოდ შაშიანის ჲ ვაჩნაძიანის წვრ. კრედიტის დათვალიერება მოვასწარი, სესხი, მიუხედავად წრევანდელ შევიწროებულ ცხოვრებისა თავის დროზე შემოაქვთ, მხოლოდ ეგაა, მსურველი ბევრია და მთხოვნელებს ვერ აკმაყოფილებენ, აუცილებლივ საჭიროა თანხის გადიდება (ამათ უკვე უთხოვნიათ), რომ ყველას გასწვდეს, თორემ უმრავლესობა მაინც ვერ ასცდება ჩარჩ-ვაჭართა ბრჭყალებს...

ვაჩნაძიანის წვრილი კრედიტი მოთავსებულია საკუთარ შენობაში, მეორე ფართო ოთახში ბიბლიოთეკაა.

ამ სოფელში სკოლა არაა და ბიბლიოთეკა კი დაუარსებიათ მის გულშემატკივართ. საჭიროა სკოლის გახსნა თორემ რა სარგებლობას მოიტანს სამკითხველო როცა 300 კომლიდან ორიოდ-სამიოდ არ გამოვა ისეთი წერა-კითხვის მცოდნე, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეეძლოს.

დავიწყებული.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

ამას წინად ქ. განჯას მობრძანდა კავკასიის უავგუსტოესი მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ-ნიკოლოზისძე. დიდმა მთავარმა კეთილ ინება და მიიღო ამ მხარის მაჰმადიანთა დეპუტაცია. დეპუტაციაში შედიოდნენ შემდეგნი პირნი 1) ისმაილ-ხან-ზიათ-ხანი 2) თავ. უცმიევი (უცმიაშვილი?) 3 )ალა ხანი ერევნისა, 3) ჯავად ყული ხანი 4) ბეიუქ ხანი (ნახიჩევნელები) 6) ბაჰომ ბეგ-რუთამ ბეგი 7) ყიზლიარ სუთნიევი და ქალაქის თავები განჯისა ჰასან მაჰმედიევი, შუშისა შაჰნაზაროვი.

— ბაქოს გუბერნიის მაჰმადიანთა სოფლებში წელს მოსავალი საშუალო ყოფილა. ბევრი მოსულა ბამბა, ეს უკანასკნელი ღირსებით წინა წლისას სჯობია.

## რუსეთი

### ვარშავის პოლიტეხნიკუმი.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, ვარშავის პოლიტეხნიკუმის სტუდენტობა ასე განაწილდეს: 1—2 კურსის სტუდენტები მოსკოვში დასტივონ, ხოლო უფროსი კურსისანი გაიგზავნოს ზოგი პეტროგრადის სამთო ინსტიტუტში, ზოგი კიევის პოლიტეხნიკუმში, ზოგი ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში, ზოგიც დონის პოლიტეხნიკუმში.

### უმუშევარნი პეტროგრადში.

პეტროგრადში, შრომის ბირჟის ცნობებით, ათი ათასი სხვა და სხვა დარგის ხელოსანი და უბრალო მუშა უსაქმოდაა დარჩენილი.

## უცხოეთი

### საფრანგეთი.

დეპუტატთა პალატაში ბრიანმა, დეკლარაციის წაკითხვის დროს, სხვათა შორის განაცხადა: „აუცილებლად ომი უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ მტერი არ გაიდევნება იმ ადგილებიდან, რომლებიც მტრის შემოსევით იჩაგრება ეს რამდენიმე თვეა, და იმ ადგილებიდანაც, რომელიც მტერმა ბევრი წლების წინ მიითვისა“. ამის გამო სოციალისტმა რენოდელმა განაცხადა: ჩემის აზრით, საფრანგეთი ადგილის შემოერთებაზე არ უნდა ოცნებობდეს. რენოდელის სიტყვებმა თითქმის მთელს პალატაში აურზაური გამოიწვია, მხოლოდ მემარცხენეებმა დაუკრეს ტაში.

როდესაც დარბაზი დაწყნარდა, რენოდელმა განაცხადა: მე მხოლოდ მარიანის აზრი გამოვთქვი მხოლოდ სხვა სიტყვებით. მარიანმა გვითხრა: საფრანგეთის ერთად-ერთი მიზანი გერმანეთის მილიტარიზმის შემუსვრააო.

ამ სიტყვებმა ხმაურობა ასტეხა. დეპუტატმა გალლიმ წარმოსთქვა: ხალხის ყოველი მისწრაფება გამარჯვებისაკენაა მიმართული. რეინის ნაპირებზე მებრძოლი ჯარი იმავე დროს რევოლუციის ლაშქარი იყო.

რენოდელმა უპასუხა: ხალხი განუსაზღვრელ მსხვერპლსა სწირავს მიწა-წყალის შემოერთებისათვის კი არა, მტრის მიერ დღეს დაპყრობილ ადგილების დასაბრუნებლად. „ჩვენს ჯარისკაცებს იმედი აქვთ, ეს ომი უკანასკნელი იქნებაო“.

ბრიანმა ბოლო სიტყვაში სთქვა: „აქ მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობაა. ზომიერთა და მემარცხენეთა შორის სრული თანხმობაა ომის მიზნების თაობაზე. ორივე მხარეს შეუძლებლად მიაჩნია სრულ გამარჯვებამდე ზავის ჩამოგდება სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მემარცხენეები უფრო მომქმედ და აქტიურ ელემენტს წარმოადგენენ ომისათვის ხალხის გაერთიანების საქმეში, მათი მსოფლმხედველობის ძირითადი დებულებანი მოითხოვს, რომ ზავის მომხრედ გამოვიდნენ. ჩვენ ზავს შევკრავთ იმ,—ვაი რომ შორეულ დროს, როდესაც დავიბრუნებთ წართმეულ ადგილებს, როდესაც გმირი ბელგეთი და სერბეთი განთავისუფლდება. საფრანგეთი მხოლოდ მაშინ ჩააგებს ხმალს ქარქაშში, როდესაც შეიმუსრება ძალმომრეობა და ხალხს თავისუფალი განვათარების საშუალება მიეცემა. საფრანგეთი ასეთს ზავს ესწრაფის და ამ აზრში ყველანი ერთდებიან“.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

## წარჩინება

1) ოფიცერი [illegible] **ხიმშიაშვილი** უმაღლესად [illegible] დაჯილდოვებულ იქმნა წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით და ხმალ-ბანტით.

2) წმ. ვლადიმერის ჯვარი და ხმალ-ბანტი ებოძა, სიმამაცისთვის, **დიმტრი მუღუზაშვილს.**

3) თავად ჩიქოვანს სახელწიფო ლაშქრის კომანდირს უბოძეს **წმ. ვლადიმერის ჯვარი და** ხმალ-ბანტი.

4) ამ გვარათვე იქმნა დაჯილდოვებული ოფიცერი **გამაზაშვილი.**

წმ. ანას მეორე ხარისხის ჯვრებით იქმნენ დაჯილდოვებულნი: 1) **ყიბირაშვილი** 2) **თუკაშვილი** 3) თავ. ანდრონიკაშვილი 4) ხელმწიფე იმპერატორი უმაღლესად მადლობას უძლვნის სიმამაცისთვის თავად. **ქავჭავაძეს.** 5) **გრ. ხუგორაშვილი** 6) **ხესიაშვილი 7) გურიაშვილი.**

1) სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვარი: **კობეშავიძეს 2) ცერიკაშვილს** მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის პოლკოვნიკს პეტრე **ვალაშვილს** უმაღლესად უბოძა გენერალ-მაიარობა. გენერალ მაიორობის ჩინით დააჯილდოვეს კიდევ **ხვედელიძე და ყანჩაველი.**

დააჯილდოვეს დავით ივანეს ძე შანშიაშვილი ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრით ხმლით და სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბაქოდან. | . 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| „ საღ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ჲ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბევლარ ახოსპირელისა „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
**კანტორის ადრესი:** Ольгнннская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.